პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

«КОМУНИСТИ» ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 13 თებერვალი, 1948 წ. № 31 (8075). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ვ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის" შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილება (1-ლი გვერდი).
ბ-ნ პეტრუ გროზას დეპეშა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრება (1-ლი გვერდი).
ისტორიის ფალსიფიკატორები (მე-2 გვერდი).
ბ. ლელინი — უზრუნველვყოთ საწარმოო გეგმების შესრულება წლის დასაწყისიდანვე (მე-3 გვერდი).
ტ. თოდრაძე — ჩაის უხვი მოსავლის რგოლი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ვ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის" შესახებ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილება

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ოპერა „დიადი მეგობრობა" (მუსიკა ვ. მურადელისა, ლიბრეტო გ. მდივანისა), რომელიც სსრ კავშირის დიდ თეატრში დაიდგა ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისთავის დღეებში, როგორც მუსიკალური, ისე სიუჟეტური მხრივ, მანკიერი, ანტიმხატვრული ნაწარმოებია.

ოპერის ძირითადი ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს ოპერის მუსიკაში. ოპერის მუსიკა უფერულია, ღარიბია. იქ არ არის არც ერთი დასამახსოვრებელი მელოდია ან არია. იგი ბუნდოვანი და დისჰარმონიულია, აგებულია მთლიან დისონანსებზე, ყურთასმენის წამღებ ბგერათშეხამებებზე. ცალკეული სტრიქონები და სცენები, რომელთაც მელოდიურობის პრეტენზია აქვთ, უეცრად სწყდება უაზრო ხმაურით, რაც სრულიად უცხოა ნორმალური ადამიანის სმენისათვის და დამაღონებლად მოქმედებს მსმენელებზე. მუსიკასა და სცენაზე მოქმედების განვითარებას შორის არ არის ორგანული კავშირი. ოპერის ვოკალური ნაწილი—გუნდის, სოლოს და ანსამბლის სიმღერა—უბადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებს. ყოველივე ამის გამო ორკესტრისა და მომღერლების შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩება.

კომპოზიტორმა ვერ ისარგებლა ხალხური მელოდიების, სიმღერების, ჰანგების, საცეკვაო მოტივების სიუხვით, რომლებითაც ესოდენ მდიდარია სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედება და, კერძოდ, იმ ხალხთა შემოქმედება, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობენ, სადაც ოპერის მოქმედება ვითარდება.

კომპოზიტორი მურადელი გამოედევნა მუსიკის ყალბ „ორიგინალობას", უგულებელჰყო კლასიკური ოპერის საუკეთესო ტრადიციები და გამოცდილება საერთოდ, განსაკუთრებით რუსული კლასიკური ოპერისა, რომელიც გამოირჩევა შინაარსიანობით, მელოდიების სიმდიდრით და ფართო დიაპაზონით, ხალხურობით, კაზმული, მშვენიერი, ნათელი მუსიკალური ფორმით, რამაც რუსული ოპერა გახადა საუკეთესო ოპერა მსოფლიოში, ხალხის ფართო ფენებისათვის საყვარელი და ხელმისაწვდომი მუსიკის ჟანრი.

ისტორიულად ყალბი და ხელოვნურია ოპერის ფაბულა, რომელსაც პრეტენზია აქვს გამოხატოს ბრძოლა 1918-1920 წლებში ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისა და ხალხთა მეგობრობის დამყარებისათვის. ოპერიდან იქმნება არასწორი წარმოდგენა, თითქოს ისეთი კავკასიელი ხალხები, როგორიც არიან ქართველები და ოსები, იმ ეპოქაში მტრულად იყვნენ განწყობილნი რუსი ხალხისადმი, რაც ისტორიულად ყალბია, ვინაიდან ხალხთა მეგობრობის დამყარების ხელშემშლელნი იმ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში ინგუშები და ჩაჩნები იყვნენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მურადელის ოპერის ჩავარდნა არის შედეგი საბჭოთა კომპოზიტორის შემოქმედებისათვის ყალბი და დამღუპველი ფორმალისტური გზისა, რასაც ამხ. მურადელი დაადგა.

როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებულმა საბჭოთა მუსიკის მოღვაწეთა თათბირმა ცხადჰყო, მურადელის ოპერის ჩავარდნა კერძო შემთხვევა როდია, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე საბჭოთა მუსიკის არახელსაყრელ მდგომარეობასთან, საბჭოთა კომპოზიტორებს შორის ფორმალისტური მიმართულების გავრცელებასთან.

ჯერ კიდევ 1936 წელს, დ. შოსტაკოვიჩის ოპერის „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტის" დადგმასთან დაკავშირებით, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო „პრავდაში" მწვავედ იყო გაკრიტიკებული ანტიხალხური, ფორმალისტური დამახინჯებანი დ. შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში და გამოაშკარავებულ იქნა საბჭოთა მუსიკის განვითარების ბედისათვის ამ მიმართულების მავნებლობა და საშიშროება. „პრავდამ", რომელიც მაშინ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით გამოვიდა, ნათლად ჩამოაყალიბა ის მოთხოვნები, რომლებსაც საბჭოთა ხალხი თავის კომპოზიტორებს უყენებს.

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, აგრეთვე იმ მითითებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული იყო მის გადაწყვეტილებებში ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ, კინოფილმ „დიდი ცხოვრების" შესახებ, დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, საბჭოთა მუსიკაში არავითარი გარდაქმნა არ მომხდარა. ზოგიერთი საბჭოთა კომპოზიტორის ცალკეული წარმატებანი ახალი სიმღერების შექმნის დარგში, რომლებმაც ხალხში აღიარება და ფართო გავრცელება ჰპოვეს, კინოსათვის მუსიკის შექმნის დარგში და სხვ., მდგომარეობის საერთო სურათს არ სცვლიან. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე სიმფონიური და საოპერო შემოქმედების დარგში. ლაპარაკია იმ კომპოზიტორებზე, რომლებიც მისდევენ ფორმალისტურ, ანტიხალხურ მიმართულებას. ამ მიმართულებამ თავისი უაღრესად სრული გამოხატულება ჰპოვა ისეთი კომპოზიტორების ნაწარმოებებში, როგორიც არიან ამხანაგები დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ა. ხაჩატურიანი, ვ. შებალინი, გ. პოპოვი, ნ. მიასკოვსკი და სხვ., რომელთა შემოქმედებაშიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ფორმალისტური დამახინჯებანი, ანტიდემოკრატიული ტენდენციები მუსიკაში, რაც უცხოა საბჭოთა ხალხისა და მისი მხატვრული გემოვნებისათვის. ასეთი მუსიკის დამახასიათებელი ნიშნებია კლასიკური მუსიკის ძირითადი პრინციპების უარყოფა, ატონალობის, დისონანსისა და დისჰარმონიის ქადაგება, რომლებიც თითქოს წარმოადგენენ „პროგრესისა" და „ნოვატორობის" გამოხატულებას მუსიკალური ფორმის განვითარებაში, მუსიკალური ნაწარმოების ისეთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლებზე უარის თქმა, როგორიცაა მელოდია, გატაცება უაზრო, ნევროპათიული ბგერების შეხამებით, რომლებიც მუსიკას კაკოფონიად, ბგერების ქაოტიურ გროვად აქცევენ. ამ მუსიკას ძლიერ ასდის ევროპისა და ამერიკის თანამედროვე მოდერნისტული ბურჟუაზიული მუსიკის სუნი, რომელიც ასახავს ბურჟუაზიული კულტურის მარაზმს, მუსიკალური ხელოვნების სრულ უარისყოფას, მის ჩიხს.

ფორმალისტური მიმართულების არსებით ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე უარის თქმა პოლიფონიურ მუსიკასა და სიმღერაზე, რომლებიც დამყარებულია მთელი რიგი დამოუკიდებელი მელოდიური ხაზების ერთდროულად შეხამებასა და განვითარებაზე, და გატაცება მონოტონური უნისონური მუსიკითა და სიმღერით, ხშირად უსიტყვებოდ, რაც წარმოადგენს ჩვენი ხალხისათვის ჩვეული მრავალხმოვანი მუსიკალურ-სასიმღერო წყობის დარღვევას, და მუსიკის გაღარიბებასა და დაცემას იწვევს.

ბევრი საბჭოთა კომპოზიტორი, რომლებიც სთელავენ რუსული და დასავლეთური კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებს, უარჰყოფენ ამ ტრადიციებს, თითქოს როგორც „მოძველებულს", „დრომოჭმულს", „კონსერვატიულს", ქედმაღლურად ეპყრობიან, როგორც „პრიმიტიული ტრადიციულობის" და „ეპიგონობის" მომხრეებს, იმ კომპოზიტორებს, რომლებიც ცდილობენ კეთილსინდისიერად აითვისონ და განავითარონ კლასიკური მუსიკის ხერხები, ყალბად გაგებული ნოვატორობის გამოდევნებით, თავიანთ მუსიკაში ჩამოშორდნენ საბჭოთა ხალხის მოთხოვნებსა და მხატვრულ გემოვნებას, ჩაიკეტნენ სპეციალისტებისა და მუსიკალური გურმანების ვიწრო წრეში, დაამდაბლეს მუსიკის მაღალი საზოგადოებრივი როლი, შეამცირეს მისი მნიშვნელობა და იგი მოსთეტე ინდივიდუალისტების დამახინჯებული გემოვნების დაკმაყოფილებით შემოფარგლეს.

ფორმალისტურმა მიმართულებამ საბჭოთა მუსიკაში საბჭოთა კომპოზიტორების ერთ ნაწილში წარმოშვა ცალმხრივი გატაცება ინსტრუმენტალური სიმფონიური უტექსტო მუსიკის რთული ფორმებით და უგულებელყოფითი დამოკიდებულება ისეთი მუსიკალური ჟანრებისადმი, როგორიცაა ოპერა, საგუნდო მუსიკა, პოპულარული მუსიკა მცირე ორკესტრებისათვის, სახალხო ინსტრუმენტების, ვოკალური ანსამბლებისათვის და სხვ.

ყოველივე ეს გარდუვალად იწვევს იმას, რომ იკარგება ვოკალური კულტურისა და დრამატიული ოსტატობის საფუძვლები და კომპოზიტორებს ავიწყდებათ წერა ხალხისათვის, რისი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დროს არ შექმნილა არც ერთი საბჭოთა ოპერა, რომელიც რუსული კლასიკური ოპერის დონეზე იდგეს.

საბჭოთა მუსიკის ზოგიერთი მოღვაწის მოწყვეტა ხალხისაგან იქამდე მივიდა, რომ მათს წრეში გავრცელდა დამპალი „თეორია", რის გამოც იმ გარემოებას, რომ ბევრი თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორის მუსიკა ხალხს არ გაეგება, იმით ხსნიან, თითქოს ხალხი „არ მომწიფებულა" მათი რთული მუსიკის გაგებისათვის, რომ ხალხი ამ მუსიკას გაიგებს საუკუნეთა შემდეგ და არა ღირს იმით შეშფოთება, თუ ზოგიერთი მუსიკალური ნაწარმოები მსმენელებს არ სწვდება. ეს მთლიანად ინდივიდუალისტური, ძირიანად ანტიხალხური თეორია კიდევ უფრო უწყობდა ხელს ზოგიერთ კომპოზიტორსა და მუსიკის მცოდნეს გამიჯვნოდა ხალხს, საბჭოთა საზოგადოებრიობის კრიტიკას და თავის ნაჭუჭში მომწყვდეულიყო.

ყველა ამ და ამის მსგავს შეხედულებათა კულტივირება უდიდეს ზიანს აყენებს საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებას. ამ შეხედულებებისადმი შემწყნარებელი დამოკიდებულება ნიშნავს საბჭოთა მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა შორის საბჭოთა მუსიკალური კულტურისათვის იმ უცხო ტენდენციების გავრცელებას, რომელთაც მუსიკის განვითარებაში მივყევართ ჩიხამდე, მუსიკალური ხელოვნების ლიკვიდაციამდე.

მანკიერი, ანტიხალხური, ფორმალისტური მიმართულება საბჭოთა მუსიკაში აგრეთვე დამღუპველ გავლენას ახდენს ახალგაზრდა კომპოზიტორების მომზადებასა და აღზრდაზე ჩვენს კონსერვატორიებში, და პირველ რიგში მოსკოვის კონსერვატორიაში (დირექტორი ამხ. შებალინი), სადაც გაბატონებულია ფორმალისტური მიმართულება. სტუდენტებს არ უნერგავენ პატივისცემას რუსული და დასავლეთური კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებისადმი, არ უვითარებენ სიყვარულს ხალხური შემოქმედებისადმი, დემოკრატიული მუსიკალური ფორმებისადმი. კონსერვატორიების ბევრი მოწაფის შემოქმედება დ. შოსტაკოვიჩის, ს. პროკოფიევისა და სხვათა მუსიკის ბრმა მიბაძვას წარმოადგენს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს საბჭოთა მუსიკალური კრიტიკის სრულიად შეუწყნარებელ მდგომარეობას. კრიტიკოსთა შორის ხელმძღვანელი მდგომარეობა უკავიათ რუსული რეალისტური მუსიკის მოწინააღმდეგეებს, დაცემულობის, ფორმალისტური მუსიკის მომხრეებს. პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, მიასკოვსკის, შებალინის ყოველ მორიგ ნაწარმოებს ეს კრიტიკოსები „საბჭოთა მუსიკის ახალ მონაპოვრად" აცხადებენ და ამ მუსიკაში ქებათა ქებას ასხამენ სუბიექტივიზმს, კონსტრუქტივიზმს, უკიდურეს ინდივიდუალიზმს, ენის პროფესიულ გართულებას, ე. ი. სწორედ იმას, რაც გაკრიტიკებულ უნდა იქნას. ნაცვლად იმისა, რომ გააცამტვეროს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისათვის მავნე, უცხო შეხედულებანი და თეორიები, მუსიკალური კრიტიკა თვითონ უწყობს ხელს მათს გავრცელებას, აქებს და „მოწინავედ" აცხადებს იმ კომპოზიტორებს, რომლებიც თავის შემოქმედებაში ყალბ შემოქმედებით მიზანდასახულებას იზიარებენ.

მუსიკალური კრიტიკა აღარ გამოხატავს საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრს, ხალხის აზრს, იგი გადაიქცა ცალკეულ კომპოზიტორთა რუპორად. ზოგიერთი მუსიკალური კრიტიკოსი, პრინციპული ობიექტური კრიტიკის ნაცვლად, მეგობრული ურთიერთობის გამო მაამებლობასა და მონურად ქედის მოხრას იჩენს ამა თუ იმ მუსიკალური ლიდერის წინაშე, ყოველნაირად აქებს და ადიდებს მათს შემოქმედებას.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კომპოზიტორების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, რომლებსაც ასულდგმულებს დასავლეთი ევროპისა და ამერიკის თანამედროვე დაცემულობის მუსიკის გავლენა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს არახელსაყრელი მდგომარეობა საბჭოთა მუსიკის ფრონტზე შეიქმნა საბჭოთა მუსიკის დარგში იმ არასწორი ხაზის შედეგად, რომელსაც ატარებდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი (ამხ. ხრაპჩენკო) და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი (ამხ. ხაჩატურიანი) ნაცვლად იმისა, რომ საბჭოთა მუსიკაში განევითარებინათ რეალისტური მიმართულება, რომლის საფუძვლებსაც წარმოადგენს კლასიკური მემკვიდრეობის უდიდესი პროგრესული როლის აღიარება, განსაკუთრებით რუსული მუსიკალური სკოლის ტრადიციების აღიარება, ამ მემკვიდრეობის გამოყენება და მისი შემდგომი განვითარება, მუსიკაში მაღალი შინაარსიანობისა და მუსიკალური ფორმის მხატვრული სრულყოფილობის შეხამება, მუსიკის სიმართლე და რეალურობა, ხალხთან და მის მუსიკალურ და სასიმღერო შემოქმედებასთან ღრმა ორგანული კავშირი, მაღალი პროფესიული ოსტატობა და ამასთან ერთად მუსიკალურ ნაწარმოებთა სისადავე და მისაწვდომობა,—არსებითად აქეზებდნენ საბჭოთა ხალხისათვის უცხო, ფორმალისტურ მიმართულებას.

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი გადაიქცა ფორმალისტ კომპოზიტორთა ჯგუფის იარაღად და ფორმალისტურ დამახინჯებათა ძირითადი გამავრცელებელი გახდა. საორგანიზაციო კომიტეტში შეიქმნა დამპალი ატმოსფერო, არ სწარმოებს შემოქმედებითი დისკუსიები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები და მის გარშემო დაჯგუფებული მუსიკის მცოდნეები ქება-დიდებას ასხამენ ანტირეალისტურ, მოდერნისტულ ნაწარმოებთ, რომლებიც ღირსნი არ არიან მხარდაჭერისა, ხოლო იმ ნაშრომებს, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი რეალისტური ხასიათით, მისწრაფებით განაგრძონ და განავითარონ კლასიკური მემკვიდრეობა, მეორეხარისხოვან ნაშრომებად აცხადებენ, შეუმჩნევლად სტოვებენ და აბუჩად იგდებენ. კომპოზიტორები, რომლებიც იკვეხნიან თავიანთ „ნოვატორობას", „არქირევოლუციურობას" მუსიკის დარგში, თავისი მოღვაწეობის დროს საორგანიზაციო კომიტეტში გამოდიან უაღრესად ჩამორჩენილი და დამპალი კონსერვატიზმის მომხრეებად, კრიტიკის თვით უმცირესი გამოვლინებისადმი ქედმაღლურ შეუწყნარებლობას იჩენენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ისეთი ვითარება და ისეთი დამოკიდებულება საბჭოთა მუსიკის ამოცანებისადმი, როგორიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტში და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტში შეიქმნა, შემდეგში არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას, ვინაიდან ისინი უდიდეს ზიანს აყენებენ საბჭოთა მუსიკის განვითარებას. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხალხის კულტურული მოთხოვნა და მხატვრული გემოვნების დონე არაჩვეულებრივად გაიზარდა. საბჭოთა ხალხი კომპოზიტორებისაგან მოელის მაღალხარისხოვან და იდეურ ნაწარმოებებს ყველა ჟანრში—ოპერის, სიმფონიური მუსიკის დარგში, სასიმღერო შემოქმედებაში, საგუნდო და საცეკვაო მუსიკაში. ჩვენს ქვეყანაში კომპოზიტორებს მინიჭებული აქვთ განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და შექმნილი აქვთ ყველა საჭირო პირობა მუსიკალური კულტურის ნამდვილი აყვავებისათვის. საბჭოთა კომპოზიტორებს ჰყავთ ისეთი აუდიტორია, როგორიც წარსულში არც ერთ კომპოზიტორს არასოდეს არ ჰყოლია. შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ კომპოზიტორებს არ გამოეყენებინათ მთელი ეს მდიდარი შესაძლებლობანი და თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიებანი არ წარემართათ სწორი რეალისტური გზით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დაგმობილ იქნას ფორმალისტური მიმართულება საბჭოთა მუსიკაში, როგორც ანტიხალხური და ისეთი მიმართულება, რომელიც საქმით მუსიკის ლიკვიდაციას იწვევს.

2. წინადადება მიეცეთ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს და ხელოვნების საქმეთა კომიტეტს გამოასწორონ მდგომარეობა საბჭოთა მუსიკაში, აღმოფხვრან ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და უზრუნველჰყონ საბჭოთა მუსიკის განვითარება რეალისტური მიმართულებით.

3. მოწოდებულ იქნან საბჭოთა კომპოზიტორები განიმსჭვალონ იმ მაღალი მოთხოვნების შეგნებით, რომლებსაც საბჭოთა ხალხი მუსიკალურ შემოქმედებას უყენებს, უკუაგდონ თავისი გზიდან ყოველივე, რაც ასუსტებს ჩვენს მუსიკას და ხელს უშლის მის განვითარებას, უზრუნველჰყონ შემოქმედებითი მუშაობის ისეთი აღმავლობა, რომელიც სწრაფად წასწევს წინ საბჭოთა მუსიკალურ კულტურას და მუსიკალური შემოქმედების ყველა დარგში გამოიწვევს საბჭოთა ხალხისათვის ღირსეულ, სრულფასოვან, მაღალხარისხოვან ნაწარმოებთა შექმნას.

4. მოწონებულ იქნას სათანადო პარტიული და საბჭოთა ორგანოების საორგანიზაციო ღონისძიებანი, მიმართულნი მუსიკალური საქმის გაუმჯობესებისაკენ.

მის აღმატებულებას გენერალისიმუს
ი. ბ. სტალინს
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი, კრემლი

ვტოვებ რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიას, გთხოვთ მიიღოთ მთავრობის დელეგაციის სახელით და პირადად ჩემგან ჩვენი გულწრფელი მადლობა გულითადი მიღებისა და მეგობრობისათვის, რაც თქვენ რუმინელ ხალხს გაუწიეთ.

ჰიტლერელ ფაშისტთა ბატონობისაგან მამაცი საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულმა რუმინელმა ხალხმა საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი და მტკიცედ დადგა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მხარეზე. ამრიგად რუმინეთი გახდა აქტიური ძალა, რომელიც თანმიმდევრულად უწევს სამსახურს მშვიდობას, დემოკრატიასა და ხალხთა შორის მეგობრობას. სსრ კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1948 წლის 4 თებერვალს ხელმოწერილი ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობის შეგნებით გამსჭვალულნი, ვარწმუნებთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდ ხელმძღვანელს გენერალისიმუს სტალინს, რომ რუმინელი ხალხი და მისი მთავრობა მთელი სიმტკიცით განახორციელებენ ხელშეკრულებას ორივე სახელმწიფოს ხალხების აყვავებისა და მათი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის მიზნით.

დოქტორი **პეტრუ გროზა**—რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრება

10 თებერვალს მოსკოვის მეცნიერთა სახლში შესდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციული წლიური კრება.

კრება გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა, რომელმაც აღნიშნა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ადამიანების კოლექტიურ შრომაში მეცნიერთა მიერ შეტანილი წვლილი.

— ეს ის წელი იყო,—სთქვა პრეზიდენტმა, — რომლის შედეგები მჭევრმეტყველურად გამოიხატა ლენინგრადელი მუშების მოწოდებით: „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში". საბჭოთა მეცნიერების მიღწევები საბჭოთა კავშირის ეკონომიურ წარმატებათა ფონზე განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია იმ ნგრევასთან და კრიზისებთან შედარებით, რომლებიც გაბატონებულია მსოფლიოს მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენი წარმატებანი მოწმობენ, რომ უძლეველია საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკური პარტია, ხელმძღვანელობს დიდი სტალინი!

აკადემიკოსი ვავილოვი შეეხო მეცნიერთა ყველაზე დიდ წარმატებებს ცოდნის სხვადასხვა დარგში. შესანიშნავია ფიზიკოსებისა და მათემატიკოსების გამოკვლევათა ახალი შედეგები. საბჭოთა ასტრონომებმა გაამდიდრეს მსოფლიო მეცნიერება ახალი დაკვირვებებით. დიდია წვლილი გეოლოგ მკვლევართა წარმატებანი, ფართო და პროდუქტიულია აკადემიის საექსპედიციო საქმიანობა.

— სსრ კავშირში მეცნიერება მთავრობის უდიდესი დახმარებით სარგებლობს,—განაგრძობს აკადემიკოსი ვავილოვი.—1948 წელს მეცნიერების საჭიროებისათვის ასიგნობანი გაიზარდა თითქმის ხუთჯერ ომამდელ დროსთან შედარებით. საბჭოთა მეცნიერები, პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობის პასუხად, ნამდვილ პატრიოტიზმს იჩენენ, მთელ თავის ცოდნას სამშობლოს აყვავების საქმეს ახმარენ. მათ ბევრი რამ გააკეთეს, რათა განახორციელონ სტალინის ისტორიული მითითება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მეცნიერები შესძლებენ დაეწიონ და გადააჭარბონ საზღვარგარეთის მეცნიერების შედეგებს.

წლიურმა კრებამ მოისმინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მდივნის აკადემიკოს ნ. გ. ბრუევიჩის წერილობითი მოხსენება 1947 წლის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი შედეგების შესახებ. მოხსენება წაიკითხა აკადემიკოსმა ვ. ი. ნიკიტინმა. გასულ წელს აკადემიის სისტემაში შეიქმნა ახალი სამეცნიერო დაწესებულებები და მათ შორის ნავთისა და სილიკატთა ქიმიის ინსტიტუტები, საერთო ანგარიშით აკადემიაში დამუშავებული იყო 358 მეცნიერული პრობლემა და მოეწყო 107 ექსპედიცია.

ცალკეული ინსტიტუტების მიღწევათა რიცხვში აღნიშნული იყო გეოლოგების გამოკვლევათა მნიშვნელობა, რომლებმაც გამოარკვიეს მთელი რიგი ფართობები სასარგებლო მადნეულის საძიებლად და აღმოაჩინეს აქამდე უცნობი სამკურნალო და მინერალური წყლების რესურსები. ვ. ვ. დოკუჩაევის სახელობის ნიადაგთა ინსტიტუტის მიერ დამთავრებულია მრავალი წლის გამოკვლევები მლაშობი ნიადაგების წარმოშობისა და რეჟიმის დარგში, დასახულია მათი მორწყვისა და მელიორაციის სისტემა. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის გამოკვლევებით დადგენილია, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე სამკურნალო ნივთიერებათა უშუალო ზემოქმედების მეთოდი ეფექტს იძლევა ტუბერკულოზურ მენინგიტის მკურნალობის დროსაც, რომელიც წინათ განუკურნებლად ითვლებოდა.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა გამდიდრდა შრომებით რუსული ლიტერატურის ისტორიის დარგში და ბ. გ. ბელინსკის შემოქმედების გამოკვლევებით, რომლებიც მიეძღვნა მისი გარდაცვალების 100 წლისთავის დღეს.

შესამჩნევად გაუმჯობესდა კადრების მომზადების სისტემა, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერების ზრდას, განსაკუთრებით ნაციონალურ რესპუბლიკებში.

მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო უდიდეს ისტორიულ მოვლენას — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გამოქვეყნების ასი წლისთავს. ინტერესი გამოიწვია აკადემიკოს ვ. პ. ვოლგინის სიტყვამ. თავისი სიტყვის შესავალ ნაწილში მან გააკეთა იმ მთავარ სოციალურ მოძღვრებათა მიმოხილვა, რომლებიც წინ უძღოდა კომუნისტური მანიფესტის გამოსვლას, შემდეგ კი დაწვრილებით შეჩერდა მარქსის იმ შესანიშნავ თხზულებებზე, რომლებმაც მოამზადეს მარქსიზმის ამ საპროგრამო დოკუმენტის შექმნა.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი", ამბობს აკადემიკოსი ვოლგინი, წარმოადგენს აზრის ნამდვილ საგანძურს, სადაც ახლებურად დასმული და გადაწყვეტილია ძირითადი პრობლემები სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობისა, მოძღვრებისა ადამიანთა საზოგადოების შესახებ; „კომუნისტური მანიფესტი" — საზოგადოებრივ მოვლენათა გამოკვლევაში მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენების უბადლო ნიმუშია. მომხსენებელს მოჰყავს ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომებს უდრის: მისი სულისკვეთებით ცოცხლობს და მოძრაობს დღემდე ცივილიზებული მსოფლიოს მთელი ორგანიზებული და მებრძოლი პროლეტარიატი".

თავისი სიტყვის დიდი ნაწილი აკადემიკოსმა ვოლგინმა მიუძღვნა ლენინისა და სტალინის როლს იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში მეცნიერული კომუნიზმის დებულებათა განვითარებაში. ასეთია მოძღვრება პროლეტარულ რევოლუციაში პარტიის ხელმძღვანელი როლის, რევოლუციური ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობისა, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის, კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფ სოციალისტურ ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების მნიშვნელობის შესახებ.

— დროშით, რომელიც მარქსმა და ენგელსმა აღმართეს, — ამბობს დასასრულ ვ. პ. ვოლგინი, — მიდის ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია თავისი წარმოშობის დღიდან დღემდე. ამ დროშით რაზმავდნენ ლენინი და სტალინი მეფის რუსეთის მუშათა კლასის ძალებს, ამ დროშით მიჰყავდათ მათ მუშათა მასები 1905 წელს იერიშზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ სახელოვანი დროშით მიმდინარეობდა დიადი ბრძოლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის. კომუნისტური მანიფესტის ტრადიციებს ურთიდება ლენინისა და სტალინის გენიალური მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განვითარების შესაძლებლობისა და გზების შესახებ. მანიფესტის იდეები აღგვაფრთოვანებენ ჩვენს ბრძოლაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

წლიური კრება დამთავრდა მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლებისა და სახელობითი პრემიების საზეიმო გადაცემით. კრების მონაწილენი ტაშით მიესალმნენ გამოჩენილ მეცნიერ ლაურეატებს.

ამით დამთავრა მუშაობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა კრებამ. (საქდესი).

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

(ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ)

II

ᲐᲠᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ. ᲐᲠᲐᲛᲔᲦ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ

ამბების შემდგომმა განვითარებამ უფრო მკაფიოდ ცხადჰყო, რომ ინგლისსა და საფრანგეთის მმართველი წრეები ფაშისტური სახელმწიფოებისადმი თავიანთი დთმობებითა და მათი წაქეზებით, რომლებიც 1936 წელს გაერთიანდნენ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ცნობილი სახელწოდებით „ბერლინ-რომის ღერძი“, მხლოდ ამხნევებდნენ გერმანიის და აყენებდნენ მას დაპყრობის გზაზე.

ინგლისი და საფრანგეთი, უარჰყოფდნენ რა კოლექტიური უშიშრობის პოლიტიკას, დადგნენ ეგრეთწოდებული ჩაურეკლობის პოზიციის, რომლის შესახებაც ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„...ჩაურეკლობის პოლიტიკა შეიძლებოდა შემდეგნაირად დაგვეხასიათებინა:„დეე თვითეულმა ქვეყანამ დაიცვას თავი აგრესორებისგან ისე, როგორც მას სურს და როგორც შეუძლია, ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ განვაგრძობთ ვაჭრობას აგრესორებთანაც და მათს მსზვერპლებთანაც“. ნამდვილად კი ჩაურეკლობის პოლიტიკა ნიშნავს აგრესიისადმი წაყრუებას, ომის გაღვივებას, — მბასადგმე, მის მსოფლიო ომად გადაქცევას“.*)

ამასთან ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ

„...დიდი და სახიფათო პოლიტიკური თამაში, რომელიც ჩაურეკლობის პოლიტიკის მომხრეებმა დაიწყეს, შეიძლება მათი სერიოზული მარცხით დამთავრდეს“.**)

უკვე 1937 წელს სავსებით ნათელი იყო, რომ საქმე ეხება დიდ ომს, რომელსაც ჰიტლერი აშზადებდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პირდაპირი წაყრუებით.

გერმანიის განადგურების შემდეგ საბჭოთა ჯარების მიერ ხელო ჩაგდებული გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები აამტკიცებენ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ის პერიოდის საგარეო პოლიტიკის ნამდვილ არსს. როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, ინგლისი-საფრანთის პოლიტიკის არსი იყო არა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ძალთა გაერთიანება აგრესიის წინააღმდეგ ერთობლეკი ბრძოლისათვის, არამედ ის, რომ მოგზდინათ სსრ კავშირის იზოლაცია და ჰიტლერული აგრესია წარემართათ აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რისთვისაც ჰიტლერი უნდა გამოეყენებინათ როგორც თავიანთი მეზობების იარაღი.

ამასთან ინგლისისა და საფრანგეთის მმართველებმა კარგად იცოდნენ ჰიტლერული საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, რომელიც ჰიტლერმა შემდეგნაირად განსაზღვრა:

„ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები, შეგნებულად აღვნიშნავთ ხაზგასმით ჩვენი ომამდელი დროის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას. ჩვენ იქადან ვიწყებთ, რაზედაც ექცესი საუკუნის წინათ შეეჩერდნი. ჩვენ ვიჩერებთ გერმანელთა მუდმივ მისწრაფებას სამხრეთისა და დასავლეთ ევროპისაკენ და შევაცქერით აღმოსავლეთის მიწებს. ჩვენ, დასასრულ, ხელს ვიღებთ ომამდელი დროის კოლონიურ და საგარო პოლიტიკაზე და გადავდიგართ მომავლის ტერიტორიულ პოლიტიკაზე. მაგრამ ოოდა ჩვენ ახლა ევროპაში ლეპარაკობთ ახალ მიწებზე, ჩვენ პირველ რიგში შეგვიძლია ვიფიქროთ მხოლოდ რუსეთზე და მის ხელქვეით მოსაზღვრე სახელმწიფოებზე. თითქოს თვით ბედი გვიჩვენებს გზას“.***)

უკანასკნელ დრომდე მიღებული იყო აზრი, რომ მთელი პასუხისმგებლობა გაბევლობის მიუნხენის პოლიტიკისათვის აკისრიათ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს, ჩემბერლენისა და დალადიერ მთავრობებს. ის ფაქტი, რომ ამერიკის მთავრობამ იკისრა გერმანული სარეპარაციო მასალების გამოქვეყნება და ამასთან კრებულიდან ამოიღო დოკუმენტები, რომლებიც მიუნხენის შეთანხმებას ეხება, მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების თავიანთის დაინტერესებას იმით, რომ გაამართლოს მიუნხენის გამეცემა. ეს ფაქტი ეხმიანება და ამასთან შეეცადოს ბრალი სსრ კავშირის დასდოს.

ინგლისისა და საფრანგეთის მიუნხენის პოლიტიკის ძირითადი აზრი საკმაოდ ნათელი იყო წინთანაც. საბჭოთა მთავრობის ხელთ არსებული დოკუმენტები გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან გვიძლევენ მრავალ დამტკიცებით ფაქტს, რომლებიც აშკარავებენ დასავლეთი სახელმწიფოების დიპლომატის ნამდვილ აზრს ომის წინა პერიოდში, და გვიჩვენებენ, თუ როგორ ითამაშებდნენ ხალხთა ბედს, როგორ მოურიდებლად ვაჭრობდნენ სხვისი ტერიტორიებით, როგორ ფარულად ხდებოდა მსოფლიო რეუკის გადაკეთება, როგორ აქეზებდნენ ჰიტლერულ აგრესიას და რა ღონისძიებებს მიმართავდნენ, რომ ეს აგრესია წარემართათ აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამას მშეკრმტყველურად მოწმობს, მაგალითად, გერმანული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ჰიტლერისა და ინგლისის პრემიერ ჩამბერლენის ბაღაფაყოს ბანაობის ინფორმაციას. ეს დოკუმენტი ეკუთვნის ბერლინის ფონ-ნოირატის დასწერილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ობერზალცბერგში 1937 წლის 19 ნოემბრს.

ჰალიფაქსმა განაცხადა, რომ

„იგი (ლორდი ჰალიფაქსი) და ინგლისის მთავრობის სხვა წევრები გამსჭვალული არიან შეგნებით, რომ ფიურერმა ბევრ რამეს მიიღწია არა მარტო თვით გერმანიაში, არამედ გერმანიაში კომუნიზმის მოსპობის შედეგად მან ბრა გადაეღობა კომუნიზმს დასავლეთ ევროპაში, და ამიტომ გერმანია სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დასავლეთის ბასტიონად ბოლშევიზმის წინააღმდეგ“*).

ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩემბერლენის სახელით ჰალიფაქსი აღნიშნავდა, რომ სრული შესაძლებლობა არის გამოინახოს ძნელი პრობლემების გადაწყვეტიკე კი, თუ გერმანია და ინგლისი მოახერხებენ შეთანხმებას აგრეთვე საფრანგეთთან და ატლანტთან.

ჰალიფაქსი ამბობდა, რომ „არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს „ბერლინ-რომის ღერძი“ ან ლონდონსა და პარიზის კარგი ურთიერთობა, დაზარალდეს გერმანია-ინგლისის დაახლოების შედეგად. მას შემდეგ, რაც გერმანია-ინგლისის დაახლოების შედეგად მოზზდებეა ნიადაგი, დასავლეთ ევროპის ოთმმა დიდმა სახელმწიფომ**) ერთად უნდა შეუქმნან საფუძველი, რომელზეც შეიძლება დამყარებულ იქნას ხანგრძლივი მშვიდობა ევროპაში. არც ერთი ამ ოთხი სახელმწიფოდან არავითარი შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ამ თანამშრომლობის გარეშე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლო ვერ მოეღება ახლანდელ მერყეე მდგომარეობას“.***)

ამრიგად, ჰალიფაქსმა ინგლისის მთავრობის სახელით ჯერ კიდევ 1937 წელს წინადადებები მიმართა ჰიტლერს შეერთებული ინგლისის, და ამასთან ერთად საფრანგეთ — შეერთებიდა „ბერლინ-რომის ღერძს“.

მაგრამ ამ წინადადებაზე ჰიტლერმა უპასუხა განცხადებით, რომ ოთხი სახელმწიფოს ასეთი შეთანხმება მას ძალიან ადვილად მიანნია, თუ საქმე ეხება კეთილ ნებასა და ერთმანეთისადმი თავიანთან მოყურნობას, მაგრამ საქმე გართულდება, თუ გერმანიის არ განიხილავენ „როგორც სახელმწიფოს, რომელიც ალარ ატარებს ვერსალის ხელშეკრულების მორალურ ან მატერიალურ დაღს“.

ამის საპასუხოდ ჰალიფაქსმა, ჩანაწერის თანახმად, უპასუხა:

„ინგლისელები რეალისტები არიან, და შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე სხვები, დარწმუნებული არიან, რომ ევროპალის დიქტატის შეცდომები გამოსწორებულ უნდა იქნას. ინგლისი წარსულშიც მუდამ ახდენდა თავის გავლენას ამ რეალისტური აზრით. მან აღნიშნა ინგლისის როლი რანინის ოლქის ვიდამდე ევაკუაციისას, სარეპარაციო საკითხის გადაჭრისას, აგრეთვე რაინის ოლქის რეოკუპაციისას“.****)

ჰიტლერისა და ჰალიფაქსის საუბრის შემდგომი ჩანაწერიდან სჩანს, რომ ინგლისის მთავრობა მოწონებით შეხვდა ჰიტლერის გეგმებს „შეეძინა“ დანციგი, ავსტრია და ჩეხოსლოვაკია. ინგლისი დაინტერესებული მხლოდ იმით, რომ ეს ცვლილებები მოხდეს შვიდობიანი ევოლუციის გზით და რომ შეიძლებოდეს ამ მეთოდების თავიდან აცილება, რომლებსაც შეუძლოდ შემდგომი შერიყვეს ; გამოწვევა, რაც არ სურს არც ფიურერს და არც სხვა ქვეყნებს“.*****)

როგორც სჩანს, ეს საუბარი არ წარმოადგენდა თანამოსაუბრის უბრალო ზონდაჟს, მოსინჯვას, რაც ზოგჯერ პოლიტიკური ინტიგებლობით არის გამოწვეული, არამედ ეს იყო ინგლისის მთავრობისა და ჰიტლერის საიდუმლო შეთანხმება ჰიტლერის დამპყრობლური მაღის დაკმაყოფილების შესახებ შესაბ ქვეყნების ხარჯზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ინგლისის მინისტრ საიმონის განცხადება პარლამენტში 1938 წლის 21 თებერვალს, რომ დიდ ბრიტანეთს არასოდეს არ მიუცია ავსტრიის დამოუკიდებლობის საეკალიური გარანტიები. ეს აშკარა ტყუილი იყო, ვინაიდან ასეთი გარანტიები მიეცემელი იყო ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებებით.

მაშინვე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ავსტრიის არ უნდა ჰქონდეს იმედი რაიმე დაეცეს ერთი ლიგის მხრივ.

„ჩვენ არ უნდა შევეცადოთ,—განაცხადა ჩემბერლენმა,—თავის მოტყუებას და, მით უმეტეს, ჩვენ არ უნდა მოვატყუოთ მეორე, სუსტი ერები იმის იმედით, რომ ისინი ერთი ლიგისაგან მიიღებენ დაცვას აგრესიის წინააღმდეგ, და რომ შესაძლებელი იქნება შესაბამისად მოქმედება, რაკი ვიცით, რომ არაფერი ამის მსგავსი არ შეიძლება მოხდეს“.*)

ასე ამხნევებდნენ ბრიტანეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები ჰიტლერს დამპყრობლური ბრძოლებისათვის.

გერმანულ არქივში, რომელიც ბერლინში ხელი იგდეს საბჭოთა ჯარებმა, არის აგრეთვე ჰიტლერისა და გერმანიაში ბრიტანეთის ელჩ ჰენდერსონის იმ საუბრის ჩანაწერი, რომელიც მოხდა 1938 წლის 3 მარტს რიბენტროპის თანდასწრებით**). იმ საუბრის დასაწყისშივე ჰენდერსონმა ხაზგასმით აღნიშნა მისი სანდო ხასიათი და შენიშნა, რომ საუბრის შინაარსს არ აცნობებენ არც ფრანგებს, არც ბელგიელებს, არც პორტუგალიელებს, არც იტალიელებს, რომლებსაც ახლოდან იმას ეტყვიან, რომ საუბარი შესდგა როგორც ჰალიფაქსისა და ჰიტლერის მოლაპარაკების გაგრძელება და მიძღვნილი იყო იმ საკითხებისადმი, რომლებიც შეეხებოდნენ გერმანიისა და ინგლისს.

ამ საუბარში ჰენდერსონმა ინგლისის მთავრობის სახელით ხაზგასმით აღნიშნა, რომ

„სჯმე ეხება არა საავარო გარიგებას, არამედ იმის ცდას, რომ დამყარდეს საფუძველი ეუმშარტი და გულთადი მეგობრობისათვის გერმანიასთან, ვითარების გაუმჯობესებით დაწყებული და მეგობრული გიგების ახალი სულისკვეთების შექმნით დამთავრებული“***).

ჰენდერსონმა საწინააღმდეგო არაფერი სთქვა ჰიტლერის მოთხოვნაზე „ურუსეთად ეგრთის გაერთიანებაი“ შესახებ და გიიხესენა, რომ ჰალიფაქსი, რომელიც ამ დროისათვის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, უკვე დაეთანხმა იმ ტერიტორიულ ცვლილებებს, რომელთა გატარებასაც გერმანია ფიქრობს ევროპაში, და რომ

„ინგლისის წინადადების მიზანია ისე გონიერად მოწესრიგებაში მონაწილეობა“.

ამავე საუბარში ჰენდერსონმა, როგორც ჩანაწერია აღნიშნული, განაცხადა, რომ ჩემბერლენმა

„დიდი გამბედობა გამოიჩინა, როცა, ყოველივეს მიუხედავად, ნიღაბი ჩამოხადა ისეთ ინტერნაციონალურ ფრაზებს, როგორიც არის კოლეკტიური უშიშრობა და სხვა...“

„...ამტკმ,—დასძინა ჰენდერსონმა,—ინგლისის აცნდეს თავის მზადყოფნას აღკვეთოს ყოველგვარი სიძნელე და ეკეთხება ბერლინიას, მზად არის თუ არა იგი თავის მხრივ იგივე გაკეთოს“.****)

როცა საუბარში რიბენტროპი ჩაერია და ჰენდერსონის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ინგლისის დესანაბა ვეზმი „დრამატიული“ ფორმით განუცხადა ფონ ჰაპენს ავსტრიაში მომხდარი ამბების შესახებ, ჰენდერსონი სასწრაფოდ გიემოჭნა თავისი კოლეგის განცხადებას და სთქვა, რომ „ბრძოდ თვითონ იგი, ნეიდ ჰენდერსონი, აზრს გამოსთქვამდა ანმლოვანის სასარგებლოდ“.

ასეთი იყო ინგლისის დიპლომატიის ენა მთის წინა პერიოდში.

ამ შეთანხმების შემდეგ, უკვე 1938 წლის 12 მარტს ჰიტლერმა დაიპყრო ავსტრია, რასაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწეიეს ინგლისმა და საფრანგეთმა. იმ მომენტში მხოლოდ საბჭოთა კავშირმა აღიმაღლა თავისი გამაფრთხილებელი ხმა და კვლავ მიმართა მოწოდებით მოწყობილიყო იმ ქვეყნების დამოუკიდებლობის კოლეკტიური დაცვა, რომლებსაც ავრესია ეიმუქრებოდა. ჯერ კიდევ 1938 წლის 17 მარტს საბჭოთა მთავრობამ ნოტა გაუგზავნა სახელმწიფოებს და გამოსთქვამდა თავის მზადყოფნას „დაუყოვნებლივ შესდგომოდა სხვა სახელმწიფოებთან ერთად პრაქტიკულ ღონისძიებათა განხილვას ერთი ლიგაში ან მის გარეთ“, რომელთა „ბიზანი იქნებოდა აგრესიის შემდგომი განეთთარების შეჩერება და ახალი მსოფლიო ბოეკაოკეტის გამლიერებული საფრთხის აღკვეთა“.*****)

ინგლისის მთავრობის პასუხი საბჭოთა ნოტაზე მოწმობდა, რომ ინგლისის მთავრობას არ სურდა დაბრკოლება შეექმნა ჰიტლერული აგრესიის ამ გეგმებისათვის.

იქ ნათქვამი იყო: კონფერენცია იმისათვის, რომ

„შეთანხმებულად იმოქმედოს აგრესიის წინააღმდეგ, მისი უფიდებულესმის მთავრობის აზრით, აუცილებლად ოოდი მოაზდეს კეთილ-

*) „ტაიმსი“, 1938 წლის 23 თებერვალი, გვ. 8.

**) „ჩანაწერი საუბრისა ფიურერსა (და რიბენტროპს) და ბრიტანეთის სამეფო ელჩს შორის, რომელიც შესდგა სალარეი ბაქენის ოფის-ჩანაწერი № 2589 ბოსტონის „დამატებით“, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან, 1938 წლის 3 მარტს ბერლინში“, ფრანგული საგარეო საქმეთა სამინისტროს ბ.ᲜᲐ ფონ-ნოირატისადმი თარგმანი.

***) ᲘᲑᲘᲓᲐ.

****) ᲘᲑᲘᲓᲐ.

*****) „ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“, 1938 წლის 18 მარტი.

*) „ჩანაწერი ფიურერისა და რიბენტროპის (და რიბენტროპის) ლორდ ჰალიფაქსთან ბ.ᲜᲐ საგარეო საქმეთა რიბენტროპის თანდასწრებით ობერზალცბერგში 1937 წლის 19 ნოემბერს“. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან.

**) მბეჯეფოსაშია დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

***) იხ. „საუბრის ჩანაწერი“.

****) ᲘᲑᲘᲓᲐ.

*****) ᲘᲑᲘᲓᲐ.

*) ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝ ᲜᲝᲢᲐ.

**) „1938 წ. 10 ივნისის პოლიტიკური მოსსენება, ამა წლის 10 ივნისისა № 2589 ბოსტონის „დამატებით“, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან.

***) მიმოწერა ჩეხოსლოვაკიის შესახებ, 1938 წ. სექტემბერი, გვ. 6-9, ლონდონი.

მყოფელ ზეგავლენას ევროპის მშვიდობის პერსპექტივებზე“.*)

გერმანიის აგრესიისა და ევროპაში ომის მომზადების შემდეგი რგული იყო გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა. ევროპაში ომის გაჩაღებისაკენ მიმართული ამ უანმშვნელოვანესი ნაბიჯის გადადგმაც ჰიტლერმა მხლოდ ინგლისისა და საფრანგეთის პირდაპირი მხარდაჭერით შესძლო.

ჯერ კიდევ 1938 წლის 10 იანვარს გერმანიის ელჩმა ლონდონში დორჩესენმა აცნობა ბერლინს, რომ ინგლისის მთავრობამ

„გერმანიასთან კომპრომისის ძიებნი თავისი პროგრამის ერთ-ერთ უადრესად არსებით პუნქტად გაიხადა“ და რომ „ეს მთავრობა გერმანიის მიმართ იჩენს მაქსიმალურ გაგებას, როგორიც კი შეუძლია გამოიჩინოს ინგლისის პოლიტიკოსთა რომელმე შესაძლო კომბინაციამ“.**)

დორჩესენი სწერდა, რომ ინგლისის მთავრობა

„მიუახლოვდა იმ ძირითად მოთხოვნათა ყველაზე უფრო არსებითი პუნქტებისა გაგებას, რომელსაც გერმანია აყენებს ევროპის ბედის გადაწყვეტისაგან საბჭოთა კავშირის ჩამორთმევის, ამავე აზრით ერთა ლიგის ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე ორმხრივი მოლაპარაკებისა და ხელშეკრულებათა მიზანშეწონილების შესახებ“.

დორჩესენი აგრეთვე ატყობინებდა ბერლინს, რომ ინგლისის მთავრობა ზზად არის დიდი მსჯეფრალი გაიღოს „გერმანიის სხვა სამართლიან მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად“.

ამრიგად, ინგლისის მთავრობასა და ჰიტლერს შორის ნამდვილად დამყარდა მრავალის მეტყველი თანხმობა საგარეო პოლიტიკის გიგმებში, რასაც ასე მკაფიოდ ატყობინებოდა დორჩესენი ბერლინს გაგზავნილ თავის მოხსენებაში.

საბერი არ არის მოკვიდნოთ ყველასთვის ცნობილი ფაქტები, რომლებიც უკვე უუალოდ შეეხება მიუნხენის მორიგებას. მაგრამ არ შეიძლება დაიგიწყოთ, რომ 1938 წლის 19 სექტემბერს, ე. ი. 4 დღის შემდეგ, რაც ერთმანეთს შეხვდნენ ჰიტლერი და ჩემბერლენი, რომელიც ამისათვის ჰიტლერის რეზიდენციაში ბერტხესგადენში ჩადრინდა, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მოსთხოვეს ეგრძნნინათვის გადაეცა ჩეხოსლოვაკიის რაიონები, სადაც უმთავრესად სუდეტელი გერმანელები სახლობდნენ. ისინი ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოს უკმაყოფილ შეუძლებელია მშვიდობიანობის დაცვა და ჩეხოსლოვაკიის საარსებო ინტერესთა უზრუნველყოფა. ჰიტლერული აგრესიის ინგლისელი და ფრანგი მფარველები ცდილობდნენ თავიანთი გამეცქერლობა იმით დაეფარათ, რომ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ახალი სახეზერვის საერთაშორისო გარანტიას დაპირებენ როგორც „ეკრობის დაშშმიანნების საქმეში შეტანილ წვლილს“.***)

20 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ პასუხი გასცა ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ განაცხადა, რომ „საკუთარი ხასიათის ფიზიდდებათა მიღება სახელმწიფოს ნებაყოფლობით და სრული დასახჩირება იქნებოდა ყველა მიმართულებით“. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „ჩეხოსლოვაკიის დადამბლავებას ღრმა პოლიტიკური ცვლილებანი მოაყენებდა მთელ შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში“.

„ძალთა ზონასწორობა შუა ევროპაში და საერთოდ ევროპაში,—აცხადებდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა თავის პასუხში, მოისპობოდა; ამას ყველა დანარჩენი სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით კი საფრანგეთისათვის, დიდი შედეგები მოჰყვებოდა“.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მმართა „უკანასკნელი მოწოდებით“ — გადაეასნიჯათ თავიანთი თვალსაზრისი, თან ნაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სასარგებლო არა მარტო ჩეხოსლოვაკიისათვის, არამედ მისი მეგობრებისთვისაც, სასარგებლოა „შვიდობის მოელი საქმისა და ევროპის ჯანსაღი განვითარების საქმისათვის“.

ინგლის-საფრანგეთის მმართველებმა არაფერი შეისმინეს. მეორე დღეს ინგლის მთავრობამ საპასუხო ნოტა გაუგზავნა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ეს ნოტა ინგლის-საფრანგეთის თავდაჩრეულ წინადადებებზე და „სასწრაფოდ და სერიოზულად აეკონა“, სანამ ისეთ სიტუაციას შეიქმნიდა, რომლისთვისაც ინგლისის მთავრობა პასუხის. მგებლობას ვერ იკისრებდა. დასასრულ ინგლისის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მას არ შეუძლია დაიკეკრის, რომ ჩეხოსლოვაკიის პროვეტი არბიტრაჟის შესახებ ახლა მისაღები იყოს. მს არ შეუძლია იფიქროს, აღნიშნული იყო ინგლისის ამ ნოტაში, რომ „გერმანიის მთავრობას ისეთად მიაჩნია სიტუაცია, რომლის გადაწყვეტაც შეიძლოს არბიტრაჟს, როგორც ამას ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მოთხოვს“.

*) ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝ ᲜᲝᲢᲐ.

**) „1938 წ. 10 ივნისის პოლიტიკური მოსსენება, ამა წლის 10 ივნისისა № 2589 ბოსტონის „დამატებით“, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან.

***) მიმოწერა ჩეხოსლოვაკიის შესახებ, 1938 წ. სექტემბერი, გვ. 6-9, ლონდონი.

დასასრულ ინგლისის ნოტა მეტქარის კილოთი აფრთხილებდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას, რომ, თუ ინგლისის რჩევას უარყოფს, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა „უნდა ჰკისნოს თავისუფლება ყოველგვარი მოქმედებისა, რომელსაც იგი იმ სიტუაციის შესაფერისად მიიჩნევს, რაც შეიძლება უფრო გვიან შეიქმნას“.

1938 წლის 29-30 სექტემბერს მიუნხენში მომზდარმა ჰიტლერის, ჩემბერლენის, მუსოლინისა და დალადიერ თაობრიმმა დაადგიენეს ის სამარცხეინო მორიგება, რომელიც ჯერ კიდევ ადრე „სავსებით შეთანხმებული ოყო მშვიდობის წინააღმდეგ მორიგების ძირითად მონაწილეთა მორის. ჩეხოსლოვაკიის არავითარი მონაწილეთა არ მიეღია თავისი ბედის გადაწყვეტაში. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელები მიუნხენში მხოლოდ იმიტომ მიიწვიეს, რომ მათ მორჩილად ეცადნთ იმპერიალისტებს შორის მორიგების შედეგისათვის.

იგლისისა და საფრანგეთის მთელი მოქმედება ყოველდ უეჭველს ხდიდა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მხრივ ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და მისი რესპუბლიკის მიმართ ჩადენილი გამეცქერლობის უმაგალითო აქტი სრულიადაც არ ყოფილა ამ სახელმწიფოთა პოლიტიკის შემთხვევითი ეპიზოდი, არამედ უმნიშვნელოვანესი რგული იყო ამ პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიემართა ჰიტლერულ აგრესია.

მიუხნენის მორიგების ეუმშარტი აზრი იმ ხანადეგ გამოააშკარაოა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც სთქვა, რომ „გერმანელებს მისცეს ჩეხოსლოვაკიის რაიონები, როგორც საფასური ეალდებულებისა—ატეხთ ომი საბჭოთა კავშირთან“.*)

ამ პერიოდში ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების მთელი ამ პოლიტიკის არსი გამოამკარავდა ი. ბ. სტალინის შემდეგ სიტყვებში საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე 1939 წლის მარტში:

„ჩაურეკლობის პოლიტიკა,—სთქვა ი. ბ. სტალინმა,—ნიშნავს აგრესიისადმი წაყრუებას, ომის გაღვივებას, — მაშასადამე, მის მსოფლიო ომად გადაქცევას. ჩაურეკლობის პოლიტიკაში მისწრაფება, სურვილი — ხელი არ შეუშალონ აგრესორებს აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმე, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, იაპონიის ჩაებას ომში ჩინეთთან, ხოლო კიდევ უკეთესი სამეფოთა კავშირთან, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, გერმანიის ჩაიფლოს ევროპის საქმეებში, ჩაებას ომში საბჭოთა კავშირთან, აკალონ ომის ყველა მონაწილეთან ერთად ჩაიფლონ ომის ჭაობში, ჩუქნეკად წაეკეზონ ისინი ამაში, აკალონ მათ დასასუნონ და დაიაფლონონ ერთმანეთი, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი საკმაოდ დაფსუსტდებიან, — გამოვიდნენ სცენაზე ახალი ძალებით, გამოვიდნენ, რა თქმა უნდა, „შვიდობიანობის ინტერესებისათვის“, და თავიანთი პირობები უკარნახონ ომის დასუსტებულ მონაწილეებს“.**)

სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის აგრეკეს შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ფეკმარტიული წრეებში მიუხნენის შეთანხმებას აღმფოთებით შეხვდნენ და გადაჭრით დაუჭიეს, თუ როგორ ეპყრობოდნენ ეს წრეები ინგლის-საფრანგეთის მმართველთა მეგეზნების ბაღეფაროვანი ინტერესებს, ამის შესახებ შეიძლება ეიმსჯელთან თუნდაც ისეთი აზრების მიხედვით, რაც მაგალითად, გამოთქმულია ამერიკის შეერთებული შტატებში ბანსულ სეიერსისა და კინის ზეგზნი „სიიდ ოთხი ოფი ამბვოთა რუსეთის წინააღმდეგ“. ინ რას სწერდნენ ამ ზეგნის ფატრეები მიუხნენის შესახებ:

„ნაციისტური გერმანიის, ფაშისტური იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის თთავრობებმა ხელი მოაწერეს მიუხნენის შეთანხმებას,—ახლა ანტისამეთა „სიღეთო კავშირნო“ ოცდაა, რომელსაც მსოფლიო რეაქციაგულში აბრეშგმა ჯერ კიდევ 1918 წლიდან, შეთანხმებამ უფოკეკ ბირეოდ დასტეკვა რუსეთი. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტი—ეკროპაში კოლეკტიური უშიშრობის ქკაკეთ ხიდი—დაასამარეს. ჩეხოს სუდეტები ნაციისტური გერმანიის ნაწილი გახდა. ჰიტლერელთა ეუფოდ ფარფიდან ბაეფეს აღმოსავლეთის კარი.***)

ყველა დიდ სახელმწიფოთაგან მარტო საბჭოთა კავშირი გამოდიოდა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის და ეროვნული უფლებათა დასაცავად ჩეხოსლოვაკიის ტრაგედიის ყველა ეტაპზე. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ცდილობდნენ თავი გამართლებინთ საზოგადოებრივი აზრის თვალში და ფარისეულურად აცხადებდნენ, თითქოს მათ არ იცოდნენ—შეესრულებდა თუ არა საბჭოთა კავშირი თავის ვალდებულებს ჩეხოსლოვაკიის წინაშე, რაც ურთიერთდახმარების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა. მაგრამ ისინი აშკარა ტყუილს ამბობდნენ, რადგან საბჭოთა მთავრობამ საჯაროდ განაცხადა, რომ მზად იყო ჩეხოსლოვაკიის მხარეზე გამოსულიყო ევრანნიის წინააღმდეგ ამ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკა

*) „ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“, 1939 წლის 20 მარტის „ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲠᲘ“.

**) საგარეო პოლიტიკისა და ᲕᲕᲡᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲜᲝᲗᲐ ᲙᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ, გვ. 483.

*) ᲘᲡᲐᲯ. Ჯ. (Ბ) XVIII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲤᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲘᲡᲐᲜᲘ „ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“, 1939, გვ. 14.

**) ᲘᲡᲐᲯ. Ჯ. (Ბ) XVIII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲤᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲘᲡᲐᲜᲘ „ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“, 1939, გვ. 13.

***) Გ. ᲡᲘᲔᲠᲚᲘᲡ ᲓᲐ Კ. ᲙᲘᲜᲘᲡ, „ᲡᲘᲛᲝᲗᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲑᲐᲠᲘᲡ“, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲔᲒ“. 1946, ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, გვ. 324-325.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝ

ხელოვნების მუშაკები მიესალმებიან ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში

ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებში ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 10 თებერვლის ისტორიულმა დადგენილებამ „ვ. მურადელის ოპერაზე „დიადი მეგობრობა".

12 თებერვალს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები და თეატრის სხვა თანამშრომლები შეიკრიბნენ სახელდახელო მიტინგზე. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა ოპერისა და ბალეტის თეატრის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. მგელაძემ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვ. მურადელის ოპერაზე „დიადი მეგობრობა" კრების მონაწილეებ გააცნო თეატრის დირექტორის მოვალეობის ამსრულებელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ამხ. პ. კანდელაკმა.

— საოპერო მუსიკაში ჩვენ დიდი ტრადიცია გვაქვს. ქართველმა კომპოზიტორებმა ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა, მ. ბალანჩივაძემ და სხვებმა მთელს საბჭოთა კავშირში გაითქვეს სახელი, — სთქვა კრებაზე, სიტყვით გამოსულმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანდღულაძემ. — ჩვენი სამშობლო, მაყურებლის გაზრდილი მოთხოვნილება მოითხოვს საბჭოთა კომპოზიტორებისაგან კლასიკური მუსიკის პრინციპების გამოყენებას და გაღრმავებას, ხალხურობაზე დაყრდნობით რეალისტური ნაწარმოების შექმნას. სწორედ ამაზე მიგვითითებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს ისტორიული დადგენილება.

— ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება ჩვენს საოპერო ხელოვნებას სწორ გზაზე აყენებს, განვითარების დიდ პერსპექტივებს უქმნის, — განაცხადა მიტინგზე ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სტალინური პრემიის ლაურეატმა, თეატრის მთავარმა დირიჟორმა შ. აზმაიფარაშვილმა, — ჩვენ, სტალინური მზრუნველობით გარემოცულთ, არ გვეპატიება, რომ არ შევქმნათ ჩვენი ეპოქის შესაფერი რეალისტური საბჭოთა ოპერები.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ოპერის მთავარი რეჟისორი სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. წუწუნავა, რომელმაც მიტინგის მონაწილე მუსიკოსებს მოუწოდა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ფორმალიზმს საბჭოთა მუსიკაში, ძირფესვიანად აღმოფხვრან ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან რეალისტური საბჭოთა ოპერის შექმნას.

მომღერალმა გ. გეგუჩაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დიდი მუშაობაა საჭირო ბევრი იმ ახალი ოპერების დასახვეწად და ფორმალისტური ელემენტებისაგან გასათავისუფლებლად, რომლებიც ამჟამად იდგმება ჩვენს თეატრში. მუსიკა ისეთი უნდა იყოს, რომ იგი ხელმისაწვდომი გახდეს არა მარტო წამყვანი მსახიობებისათვის, არამედ ახალგაზრდა მსახიობებისათვისაც.

კრება დამთავრდა იმ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რომ ქართველი მუსიკოსები იბრძოლებენ რეპერტუარის საფუძვლიანად გაჯანსაღებისათვის და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 10 თებერვლის ისტორიული დადგენილების მტკიცედ განხორციელებისათვის.

კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო"

ლენინის ორდენოსანი თბილისის კინოსტუდიის დოკუმენტალური ფილმების სექტორმა მიმდინარე წელს გამოუშვა კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველოს" სამი ახალი ნომერი.

კინოჟურნალის საახალწლო ნომერი, რომლის ავტორია რეჟისორი ოთარ ჭიაურელი, მიძღვნილია ახალი გიგანტური მშენებლობებისადმი საქართველოში. ქუთაისის ლამაზი პეიზაჟის ფონზე აღიმართება ახალი საავტომობილო ქარხნის გიგანტური კორპუსები. შემდეგ ნაჩვენებია რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა, მისი გამოჩენილი ადამიანები. კინოჟურნალი ასახავს ხრამჰესის ჰიდროელექტროსადგურის გახსნის საზეიმო დღეს.

ამავე ნომერშია შესული ფრაგმენტები მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დადგმიდან — „1917 წელი".

კინოჟურნალის მეორე ნომერი (რეჟისორი ა. შატროვი) მიძღვნილია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი; მესამე ნომერი (რეჟისორი შ. ჩაგუნავა) გვიჩვენებს ლენინის დღეებს თბილისში, თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ სესიას.

დოკუმენტალური ფილმების სექტორმა გამოუშვა აგრეთვე კინოჟურნალი „ნორჩი თაობა" (რეჟისორი ა. მამულაშვილი), რომელიც მიძღვნილია თბილისის მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებისადმი.

34.000 ფუთი შაქარი იანვრის გეგმის გადამეტებით

ლ. პ. ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა ფხვნილი შაქრის გამოშვების იანვრის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 34.000 ფუთი შაქარი.

გამოცდილების ტრიბუნა

ჩაის უხვი მოსავლის რგოლი

შარშან ქართველი გლეხობის მიერ დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა დარეჯან ტაკიძემ ვალდებულება იკისრა, რომ მისი რგოლი ჩაის 4 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანდა 15.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს. ფაქტიურად ამხ. ტაკიძის რგოლმა 4 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 15.728 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა. პირადად დ. ტაკიძემ შარშან 0,6 ჰექტარი პლანტაცია დაამუშავა და მასზე 10.207 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 17.011 კილოგრამს უდრის. სტახანოველი მეჩაიე პირობას იძლევა, რომ წელს რგოლში ყოველ ჰექტარზე მოიყვანს 16.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს, თავის სტახანოვურ ნაკვეთზე კი ჰექტარზე გადაანგარიშებით უზრუნველჰყოფს 18.000 კილოგრამი ჩაის მიღებას.

დარეჯან ტაკიძემ ჩაის დარგში მუშაობა 1938 წლიდან დაიწყო. მას კარგად აქვს შეგნებული ჩაის მეურნეობის სირთულე, მისი შრომატევადობა. იგი განუწყვეტლივ სწავლობს და ამოწმებს აგროწესებს, აკვირდება, თუ როგორ ახორციელებენ მას ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, სად რა შედეგია მოპოვებული, რა ღონისძიება უფრო ამართლებს დანიშნულებას.

სტახანოველმა მეჩაიემ თავის რგოლში თვითეული ბუჩქისადმი ინდივიდუალური მიდგომით შესძლო მიეღწია მცენარეთა სწრაფად განვითარებისათვის, შეექმნა უხვი მოსავლის მისაღებად საჭირო ყველა პირობა.

რგოლის ჩაის პლანტაცია დაცულია ქარსაფარი მცენარეებით, რომლებიც 12 წლის წინათ არის დარგული. ნაკვეთებს ირგვლივ შემოვლებული აქვს პირუტყვისათვის მიუვალი ცოცხალი და მაგარი ღობე. რგოლში გაერთიანებულია 9 კოლმეურნე ქალი. ყველა მათგანი სტახანოველია.

რგოლი უხვი მოსავლის მიღებისათვის შემოდგომიდანვე ზრუნავს — ნოემბერში სწმენდს სადრენაჟო არხებს, თუ საჭიროა, ახალ არხებსაც აკეთებს; ნოემბრის ბოლოს პლანტაციებში თვითეულ ჰექტარზე შეაქვს 20-30 ურემი გადამწვარი ნაკელი და 1.200-1.500 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქი, ამასთან მიწას მთლიანად ბარავს 20-25 სანტიმეტრის სიღრმეზე და სწმენდს სარეველა მცენარეებისაგან.

20 თებერვლიდან მარტის პირველი დეკადის გასვლამდე რგოლი ჩაის სხლავს მომაღლოთ ბორდიურის მაკრატლით, ბუჩქებს აძლევს ნახევრადოვალურ ფორმას, ამოკლებს განზე გაზრდილ ტოტებს, ხოლო ყველა მწოლარე ტოტს სჭრის, ამასთან ბუჩქს აშორებს ხმელ, დაზიანებულ და ზედმეტ ტოტებს, გასხვლისა და გამოხშირვისას მიღებული ნარჩენები გამოაქვს პლანტაციიდან და სწვავს; ვეგეტაციის წინ, მარტის შუა რიცხვებში, მავნე ფარიანების წინააღმდეგ ატარებს ზეთოვანი ემულსიის ხსნარის შესხურებას და იწყებს ნიადაგის შებარვას 8-10 სანტიმეტრის სიღრმეზე; ასეთსავე შესხურებას ახდენს შემოდგომაზეც, ნოემბერში ან დეკემბერში; აპრილის პირველ რიცხვებში პლანტაციას ჩათოხვნის საშუალებით აძლევს აზოტოვანი სასუქის პირველ დოზას— 600-700 კილოგრამს ჰექტარზე, ჩაის ბუჩქიდან 20-25 სანტიმეტრის დაშორებით.

რგოლის პლანტაციაში არასოდეს არ არის სარეველა მცენარეები, მიწა ყოველთვის ფხვიერია. ამ მიზნით რგოლი ზოგჯერ თვეში ორჯერაც ატარებს კულტივაციას, შემდეგ კი თოხნას, სულ სეზონში დაახლოებით 5-6-ჯერ. პირველად პლანტაციები მაისის პირველ რიცხვებში ითოხნება. ამავე დროს პლანტაციას რწყავენ ნაკელწყლით და მინერალური სასუქით (25 ვედრო წყალში ურევენ 6 ვედრო ახალ ნაკელს და 1 ვედრო აზოტოვან სასუქს). მაისის ბოლოს პლანტაციას მეორედ თოხნიან. ივნისის პირველ რიცხვებში კვლავ რწყავენ ნიადაგს ნაკელწყლითა და აზოტოვანი სასუქით. 25 ივნისიდან 1 ივლისამდე პლანტაციაში შეაქვთ აზოტოვანი სასუქის მეორე დოზა—500 კილოგრამი ჰექტარზე, ივლისსა და აგვისტოში კი მესამე და მეოთხე დოზა, კვლავ 500-500 კილოგრამი. ამავე თვეებში რგოლი ატარებს ნაკელწყლით და აზოტოვანი სასუქის ხსნარით მორწყვას. ამრიგად, ნაკელწყალი (წუნწუხი) პლანტაციაში შეაქვთ 3-4-ჯერ.

რგოლი ჩაის კრეფისათვის წინასწარ ემზადება, საკმაოდ აქვს გოდრები და კალათები. მოსავლის გადიდების საქმეში ჩაის ფოთლის დროული და წესიერი კრეფა ერთ-ერთ უმთავრეს ღონისძიებას წარმოადგენს. დაგვიანებით კრეფა იწვევს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის შემცირებას და ხარისხის გაუარესებას, ხოლო ადრეული კრეფა ძლიერ ასუსტებს ჩაის ბუჩქებს და ამცირებს მოსავალს. რგოლი ფოთოლს ჰკრეფს არა ამოკვირტვისთანავე, არამედ მაშინ, როცა კარგად შემოვა, როცა ბუჩქზე მოსაკრეფი დუყის რაოდენობა 10-15 პროცენტს მიაღწევს. ეს პერიოდი აქ ჩვეულებრივად აპრილის ბოლოს ან მაისის პირველ რიცხვებში დგება. საერთოდ ჩაის ფოთოლს იმ წესით ჰკრეფენ, რომ ბუჩქები ყოველთვის ღონიერი და უხვმოსავლიანი იყოს, ჰკრეფენ მხოლოდ ნორმალურ დუყებს, დანარჩენს კი აძლევენ ზრდაგანვითარებისა და საკრეფად შემოსვლის საშუალებას. რადგან მწკრივი განიერია, ჯერ მასზე ყლორტებს ერთი მხრიდან ჰკრეფენ, ხოლო შემდეგ მეორე მხრიდან იმგვარად, რომ საბოლოოდ ბუჩქზე მოუკრეფელი არ დარჩეს არცერთი შემოსული და ნორმალური დუყი. კრეფა სწარმოებს აგროწესების ზუსტად დაცვით.

შარშან მერგოლეურმა ამხ. ტაკიძემ 752 შრომადღე გამოიმუშავა. თვითეულ შრომადღეზე მიიღებს 25 მანეთს და 5 კილოგრამ მარცვლეულს. დამატებით კი, პრემიის სახით, მას 24.000 მანეთზე მეტი მიეცემა. სულ შარშან გამომუშავებულ შრომადღეებზე დ. ტაკიძე მიიღებს 41.000 მანეთს და ოთხ ტონაზე მეტ მარცვლეულს.

იმ მიზნით, რომ წელს კიდევ უფრო გაადიდოს მოსავლიანობა, რგოლს განზრახული აქვს მეტჯერ მორწყას პლანტაცია ნაკელისა და აზოტოვანი სასუქის ხსნარით.

კოლმეურნე ამხ. დარეჯან ტაკიძე დაუღალავად მუშაობს ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის. მის რგოლს წარმატებით აქვს შესრულებული როგორც გასული წლის შემოდგომის, ისე მიმდინარე წლის ზამთრის ყველა სამუშაო.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

პატარა ფელეტონი

ნუ დავაგვიანებთ

ეს იყო 1947 წლის მარტში. ყელშეხვეული შევიდა სამტრედიის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში მ. მირილაშვილი, ძლივს ჩამოჯდა სკამზე და კვნესა დაიწყო.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ვკვდე... ბ... ი, მიშ... ვე... ლეთ! — მხოლოდ ეს ორი სიტყვა სთქვა და განცხადება ამოიღო.

განცხადებაში ეწერა: „მე, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე მ. მირილაშვილი, მძიმე ავადმყოფობისა და უმძიმესი ოჯახური პირობების გამო იძულებული ვარ სამუშაო დავტოვო, გთხოვთ გამათავისუფლოთ".

განცხადებაზე იმავე დღეს ასეთი რეზოლუცია დაიწერა: „კულაშის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარეს მ. მირილაშვილს მიეცეს ერთი თვის შვებულება 25 მარტიდან 25 აპრილამდე".

დაკმაყოფილდა მ. მირილაშვილი. ბრძანება წაიღო, კვნესით დასტოვა რაიკავშირის შენობა, ნელ-ნელა გაიარა სამტრედიის მთავარი ქუჩა, და როგორც კი გადაუხვია წულუკიძისაკენ მიმავალ გზაზე, ქუდი მოიხადა, ოფლი მოიწმინდა და ისე სწრაფად გასწია შინისაკენ, რომ იორღა ცხენიც ვერ მიეწეოდა.

მეორე დღეს მატარებელში იჯდა მ. მირილაშვილი. ჯიბეში ჰქონდა: სოფლის კოოპერატივის მივლინება, მრავალი ას-მანეთიანი და თბილის-მოსკოვის ბილეთი.

შვებულება არ გაუგრძელებიათ მ. მირილაშვილისათვის, მაგრამ სამტრედიაში მხოლოდ 2 მაისს ჩამოვიდა. თან ჩამოიტანა: სამი ათასი მანეთის საავანსო ანგარიში, ხოლო რაც შეეხება ნავაჭრს, როგორც ამბობენ, გამოუგზავნია, მაგრამ კულაშის კოოპერატივში ამის შესახებ არაფერი იციან.

ჩამოვიდა მ. მირილაშვილი. ხუმრობა ხომ არ არის, თვეზე მეტია თანამშრომლებს არ უნახავთ თავიანთი თავმჯდომარე! ყველა ცდილობდა ესიამოვნებინა მისთვის. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ბუხჰალტერმა, სასწრაფოდ გამოართვა სამი ათასი მანეთის საავანსო ანგარიში და შეუდგა მის გაფორმებას.

თავმჯდომარე კმაყოფილი დარჩა შეხვედრით და, „ავადმყოფობისაგან" განკურნებულმა, დაიწყო მუშაობა.

ბუხჰალტერიის წიგნში კი საავანსო ანგარიშთან ერთად ჩაკერებულია მ. მირილაშვილის 1947 წლის 26 აპრილის განკარგულება: „ბუხ. გამომიწერეთ 3.000 მანეთი საქვეანგარიშო თანხა კულაშის სოფლის კოოპერატივის საჭიროებისათვის".

ხედავთ, როგორი მალმსრბოლია „მძიმე ავადმყოფი" მ. მირილაშვილი! 26 აპრილს დილით მოსკოვში ყოფილა, 12 საათზე სამტრედიაში მოუნახულებია თავისი თანამშრომლები, განკარგულებაც გაუცია, შემდეგ, იმავე დღეს ისევ მოსკოვს წასულა, საღამომდე კიდეც უვაჭრია, ხოლო სამტრედიაში, როგორც უკვე ვიქვით, 2 მაისამდე აღარ დაბრუნებულა.

გავიდა ორი თვე.

მ. მირილაშვილი ისევ „ავად გახდა". ახლა ყბაც აიხვია, ფეხებში ქარები გაუდგა. რაიკოოპკავშირმა ორი წარმომადგენელი გაგზავნა კულაშის სოფლის კოოპერატივის რწმუნებულთა კონფერენციაზე, რომელმაც განიხილა მ. მირილაშვილის განცხადება „მძიმე ავადმყოფობის გამო" სამუშაოდან მისი განთავისუფლების შესახებ.

1947 წლის 2 აგვისტოს, დიდი კამათის შემდეგ, გადაწყდა კოოპერატივის თავმჯდომარისათვის მიეცათ ორი თვის შვებულება — 2 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე.

მირილაშვილმა ამოისუნთქა. ხუმრობა ხომ არ არის, იგი ჯერ კიდევ 5 დღით ადრე, 27 ივლისს თავისი ახლო ნათესავის ი. ბოთერაშვილის საშუალებით საქართველოს კოოპკავშირის პრეზიდიუმმა მოსკოვში მიავლინა არტელ „მშრომელთა კავშირის" საჭიროებისათვის ნედლეულის, სხვადასხვა მასალებისა და სამრეწველო საქონლის შესაძენად.

და... „მძიმე ავადმყოფი" კვლავ გაემგზავრა მოსკოვს. გაჩაღდა ვაჭრობა. სამტრედიაში მოვიდა მხოლოდ 2.700 მანეთის სამრეწველო საქონელი, დანარჩენის მისამართი კი მხოლოდ არტელ „მშრომელთა კავშირის" თავმჯდომარემ ი. ბოთერაშვილმა იცოდა და, მოგებით აღფრთოვანებულმა, მოსკოვში მ. მირილაშვილს დამატებით გაუგზავნა ათი ათასი მანეთი, მაგრამ არა სამტრედიიდან.

ეს იყო 1947 წლის 21 აგვისტოს. ი. ბოთერაშვილმა აბაშის ფოსტაში ჩააბარა ფული და თვითონ, სრულიად დამშვიდებული, რომ ვერავინ გაუგებდა, დაბრუნდა სამტრედიაში.

„მძიმე ავადმყოფმა" დიდი მოგება ნახა მოსკოვში, აღებმიცემობამ სრულიად განკურნა და დამშვიდებული დაბრუნდა კულაშში.

გავიდა თვეები...

ი. ბოთერაშვილმაც სცადა „ავად გამხდარიყო", მაგრამ, ეტყობა, არ დაუჯერეს, ამიტომ ხელი მიჰყო ახალ სარფიან საქმეს. დაიწყო კონიაკის გამოშვება.

არტელი „მშრომელთა კავშირი" ღვინოში წყალს რომ ურევდა და მოგებას ძმაბიჭურად ინაწილებდნენ, ეს საკმაო არ შეიქნა. ი. ბოთერაშვილმა კავშირი დაამყარა ადგილობრივი მრეწველობის კონიაკის ქარხნის ხელმძღვანელებთან და შეთანხმდნენ: კონიაკს გამოუშვებდა ქარხანა, ხოლო ბანდეროლს არტელი „მშრომელთა კავშირი" გაუკეთებდა. ამბობენ: ამ „გამოგონებით" ი. ბოთერაშვილი როგორც მორალურად, ისე მატერიალურადაც კმაყოფილი არისო.

მაგრამ ჩვენ არ ვართ კმაყოფილი. ვფიქრობთ, რომ ი. ბოთერაშვილისა და მ. მირილაშვილის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება მსჯელობის საგანი გახდება. იქნებ, ეს ვაჟბატონები მართლაც ავად არიან და „მკურნალობა" სჭირდებათ.

ნუ დავაგვიანებთ.

ვ. კოპალეიშვილი

ისევ ტრამვაის მოძრაობის შესახებ

ლენინის რაიონში, ღრმა ღელის მიმართულებით, ტრამვაის მოძრაობა ვერ არის მოწესრიგებული. შემჩნეულია, რომ თითქმის ყოველთვის ერთი მიმართულებით რამდენიმე ვაგონი ერთი მეორეს მისდევს, ხოლო მეორე მიმართულებით მგზავრებს უხდებათ ლოდინი. ტრამვაის ასეთი არანორმალური მუშაობა გამოწვეულია ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს არაოპერატიული მუშაობით. ამ სიძნელის გადაწყვეტა უბრალოდ შეიძლება: საკმარისია დაწესდეს ერთი მიმართულებით მიმავალ ვაგონებს შორის განსაზღვრული ინტერვალი და მგზავრთა მიმოსვლის შეფერხებას ადგილი აღარ ექნება.

საჭიროა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

ექიმი ვ. ბოლქვაძე

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მომხმარებელთა წონაში მოტყუებისათვის

„კომუნისტის" რედაქციაში შემოვიდა კორესპონდენცია, რომლის ავტორი გვწერდა, რომ თბილპურვაჭრობის № 16 მაღაზიის გამყიდველი შენგელია, გამგე სტეფანოვის ხელშეწყობით, მომხმარებლებს სისტემატურად აკლებდა წონაში 150-200 გრამ პურს.

აღნიშნული კორესპონდენცია გადაეგზავნა თბილპურვაჭრობის დირექტორს გამოსარკვევად და სათანადო ზომების მისაღებად.

როგორც თბილპურვაჭრობის დირექტორი გვატყობინებს, № 16 პურის მაღაზიის გამგე სტეფანოვი და პურის გამყიდველი შენგელია მოხსნილი არიან სამუშაოდან.

უზრუნველვყოთ საწარმოო გეგმების შესრულება წლის დასაწყისიდანვე

საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1947 წლის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა. მან სამშობლოს მისცა 33,9 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1946 წელს.

ახალი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ლენინგრადელთა მოწოდების საპასუხოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულმა მთელმა რიგმა საწარმოებმა 1948 წლისათვის გადიდებული დავალებები მიიღეს. მოწინავე საწარმოები წარმატებით შეუდგნენ ამ დავალებათა განაღდებას და იანვარში უკვე მოგვცეს მაღალი მაჩვენებლები. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, მაგალითად, იანვრის საწარმოო დავალება 109,1 პროცენტით შეასრულა და 1947 წლის იანვართან შედარებით 34,5 პროცენტით მეტი პროდუქცია მოგვცა. დაზგათმშენებელმა ქარხანამ — „დაზგამ" იანვარში გეგმა 107 პროცენტით გაანაღდა და წინა წლის სათანადო თვესთან შედარებით 28,1 პროცენტი ზრდა მოგვცა. ასევე წარმატებით იმუშავა მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ, რომელმაც იანვრის გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ იანვრის დავალება გაანაღდა 107,1 პროცენტით. კარგად იმუშავეს იანვარში და გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ, ტყავის გადამამუშავებელმა პირველმა ქარხანამ, ჩაის შემფუთავ-გადამწონავმა ფაბრიკამ, საინსტრუმენტო ქარხანამ, ბამბის ფაბრიკამ, აბრეშუმსაქსოვმა და სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკებმა.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროთა ყველა იმ საწარმოებმა, რომლებიც თბილისში არიან განლაგებულნი, იანვრის საწარმოო დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა იანვრის გეგმა 108,2 პროცენტით გაანაღდეს, საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 112,6 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 106 პროცენტით და კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 106 პროცენტით.

მაგრამ ამავე დროს დედაქალაქში არის მრავალი საწარმო, რომელმაც იანვრის გეგმა ვერ შეასრულა. ამის შედეგად საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა იანვარში თბილისის მრეწველობის მიერ შესრულებულია მხოლოდ 90 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ იანვარში საგემოვნო მრეწველობის ის საწარმოები, რომლებიც ქალაქის ფარგლებში არიან განლაგებულნი. ამ საწარმოებმა იანვრის გეგმა მხოლოდ 82 პროცენტით შეასრულეს.

ყველაზე მეტად ჩამორჩენილ საწარმოთა შორის არიან: ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. ბუჯიაშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ავალიშვილი), რომელმაც იანვრის გეგმა მხოლოდ 61,4 პროცენტით გაანაღდა და ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა (დირექტორი ამხ. პარტოსიანი, ტექნიკური ხელმძღვანელი ამხ. ბაბასიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. იოსებაშვილი), რომელმაც იანვრის გეგმა შეასრულა 59,5 პროცენტით. ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის ჩამორჩენა მისი ხელმძღვანელების ამხ. პარტოსიანისა და ბაბასიანის სუსტი მუშაობის შედეგია. მათ დაუშვებლად გააჭიანურეს ცხელი ვულკანიზაციის საამქროს ამუშავება, რამაც გავლენა მოახდინა თვიური გეგმის შესრულებაზე. ეს საამქრო ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში უნდა ამუშავებულიყო. ამავე დროს ფაბრიკაში გახშირდა დაზგა-დანადგარების გაცდენა მათი ცუდი ტექნიკური მდგომარეობის გამო, რაც იწვევს პროდუქციის გამოშვების შემცირებას და აქვეითებს ფეხსაცმლის ხარისხს.

ჩამორჩნენ იანვარში თბილისის თამბაქოს ფაბრიკები. თამბაქოს პირველმა ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ელისაბედაშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. უჯუმელაშვილი) იანვრის გეგმა მხოლოდ 62,2 პროცენტით შეასრულა. თამბაქოს მეორე ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ფალიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. კარპოვა) გეგმა შეასრულა 80,7 პროცენტით. თამბაქოს ფაბრიკების ჩამორჩენა გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ ამ ფაბრიკათა ხელმძღვანელები თადარიგიანად არ მუშაობენ, დროულად ვერ იმარაგებენ საკმაო რაოდენობის ხარისხოვან ქაღალდს და ამავე დროს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პროდუქციის ხარისხსა და გაფორმებას. თამბაქოს ფაბრიკების ხელმძღვანელებმა ვერ მოაწესრიგეს მანქანების დროული რემონტისა და რეგულირების საქმე, რის გამოც გამოდის დიდძალი დაბალხარისხოვანი პროდუქცია, მატულობს გაცდენა და იზრდება პროდუქციის თვითღირებულება. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ თბილისის ქაღალდის ფაბრიკამ თამბაქოს ფაბრიკებს იანვარში ვერ მიაწოდა ქაღალდი გათვალისწინებული რაოდენობით და ამით შეაფერხა პაპიროსის გამოშვების გეგმის შესრულება.

იანვრის საწარმოო დავალებების შესრულებაში ბევრი სხვა საწარმოც ჩამორჩა. ასე, მაგალითად, ფარმაცევტულმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. პეტროსიანი) იანვრის გეგმა შეასრულა 90,8 პროცენტით, პლასტიკური მასების ქარხანამ (დირექტორი ამხ. ახალაია) — 62,7 პროცენტით, ლიანდაგსარემონტო ქარხანამ (უფროსი ამხ. მაისაშვილი) — 57,5 პროცენტით და ავტოსახელოსნოებმა — 84,6 პროცენტით. ვერ შეასრულეს იანვრის გეგმები აგრეთვე თბილისში არსებულმა ლუდსახდელმა ქარხნებმა და ღვინის ქარხნებმა. ამ საწარმოთა ხელმძღვანელები ალბათ ფიქრობენ, რომ წინ დიდი დრო აქვთ, რათა იანვრის ჩამორჩენა დაფარონ და წლიური გეგმის შესრულება მაინც უზრუნველჰყონ. ასეთი განწყობილება დაუშვებელია.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ, რომ წლის დასაწყისიდანვე გეგმების შეუსრულებლობა იძულებულს გახდის მათ მიმართონ იერიშობანას, მუშაობის იმ დაგმობილ მეთოდს, როდესაც საშუალება აღარ ექნებათ მტკიცედ დაიცვან ტექნოლოგიური დისციპლინა. ტექნოლოგიური პროცესების ხელოვნურად დაჩქარება, დისციპლინის დარღვევაა, ხოლო ამას შედეგად მოჰყვება წუნი, პროდუქციის თვითღირებულების გადიდება და საასორტიმენტო გეგმის ჩაშლა. იერიშობანა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს ჩვენი საწარმოების მუშაობაში.

ყველა საწარმოში, ყველა საამქროში და ყოველ სამუშაო უბანზე საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ გეგმა სრულდებოდეს ყოველდღიურად, ყოველდეკადურად, ყოველთვიურად.

ჩამორჩენილ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები ყოველთვის „ობიექტურ მიზეზებს" მოიშველიებენ ხოლმე, როცა საკითხი გეგმების შეუსრულებლობას შეეხება. ლითონით, დამხმარე მასალებით, ნედლეულით ვერ მოგვამარაგესო, ამბობენ, ხოლო ამავე დროს თვითონ როდი იჩენენ უნარს, რომ ეს ნედლეული დროულად გამონახონ და მოიმარაგონ. საჭიროა იმ სამინისტროებმაც, რომელთაც ეს ჩამორჩენილი საწარმოები ეკუთვნიან, უფრო მოქნილად და ოპერატიულად იმუშაონ, მიიღონ ყველა ზომა მათ გამგებლობაში მყოფი საწარმოების მოსამარაგებლად ნედლეულითა და დამხმარე მასალებით.

საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელების მოვალეობაა ღრმად შეისწავლონ მთელი ის რეზერვები და შესაძლებლობები, რაც საწარმოს აქვს თვითეული საამქროს, თვითეული სამუშაო უბნის მიხედვით, დასახონ ღონისძიებანი შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გააძლიერონ კონტროლი საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, დაუზოგავად ებრძოლონ თვითკმაყოფილების განწყობილებას, გააუმჯობესონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის, მიაღწიონ იმას, რომ საწარმოში მომუშავე ყველა კომუნისტი ნამდვილად ჩადგეს სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ავანგარდში.

საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია გეგმების შეუსრულებლობა ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები ცდილობენ გეგმა შეასრულონ ფულადი გამოხატულებით, მეტი რაოდენობით მოგვცენ ნაკლებ შრომატევადი, ადვილად გამოსაშვები პროდუქცია და ამავე დროს შეამცირონ უფრო შრომატევადი ნომენკლატურისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის ზუსტი ხელსაწყოების ქარხანამ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო ხელსაწყოთა გამოშვების გეგმა იანვარში მხოლოდ 9,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო შუშის ნაწარმთა გამოშვების იმავე თვის გეგმა კი — 250 პროცენტით. ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟმა" ფულადი გამოხატულებით იანვრის გეგმა 100,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო ამავე დროს ზედა ტრიკოტაჟის გამოშვების თვიური დავალება განაღდებულია 86,5 პროცენტით და საცვლების გამოშვებისა— 86,7 პროცენტით. ასეთივე მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანაში, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკებში.

ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს, ეტყობა დაავიწყდათ საკავშირო კ. პ. (ბ) მეთვრამეტე კონფერენციის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა გეგმა შევასრულოთ არა მარტო რიცხობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების და ასორტიმენტის მიხედვით.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ სამეურნეო მუშაკთა საქმიანობას იმ მხრივაც, რომ არაფერმა დააბრკოლოს გეგმების შესრულება ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით.

სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად თანდათან ფართოვდება. იანვარში ამ შეჯიბრების მოწინავე მონაწილეებს ჩამორჩნენ მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები. ამოცანა ახლა ის არის, რომ უმოკლეს დროში დავფაროთ იანვრის ჩამორჩენა, ამთავითვე ავიღოთ მაღალი ტემპი და უზრუნველვყოთ 1948 წლის გეგმის ვადამდე შესრულება.

ბ. ლელინი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინეთის მთავრობის დელეგაცია ბუქარესტს დაბრუნდა

ბუქარესტი, 11 თებერვალი. (საქდესი). გუშინ მოსკოვიდან ბუქარესტს დაბრუნდა რუმინეთის მთავრობის დელეგაცია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დოქტორ პეტრუ გროზას მეთაურობით.

ბუქარესტს დაბრუნდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ს. ი. ქავთარაძე. ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ რუმინეთის მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე დედაქალაქის მშრომელთა მრავალი დელეგაცია. გაიმართა მიტინგი, რომელზეც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მიწათმოქმედების მინისტრმა სავულესკუმ. „მთელი რუმინელი ხალხის სახელით, — სთქვა მან, — მთავრობის დელეგაციას მადლობას ვუძღვნი იმის განხორციელებისათვის, რაც ხსნის რუმინეთის დემოკრატიის განვითარების ფართო გზას, რუმინელი ხალხის თავისუფლებისა და აყვავების გზას“.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე შრომის გენერალური კონფედერაციის თავმჯდომარემ აპოსტოლმა. „რუმინეთის მუშათა კლასი, — განაცხადა მან, — ამაყობს იმით, რომ განხორციელდა მისი მისწრაფება, რომელიც მთელი ხალხის მისწრაფებაა. ახლა ჩვენ საბჭოთა კავშირის არა მარტო მეგობრები ვართ, არამედ მოკავშირენიც. საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება უზრუნველყოფს პროგრესს რუმინეთის ცხოვრების ყველა დარგში. ეს ხელშეკრულება სისხლით მოპოვებული თავისუფლების დაცვის გარანტიაა.

რუმინელი ხალხი მუშათა კლასის მეთაურობით განაგრძობს ბრძოლას ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენი ქვეყნის შიგნით და გარეთ შეეცდება ძირი გამოუთხაროს მშვიდობას და ჩვენი მეგობრული ხალხების უშიშროებას“.

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს პეტრუ გროზამ და მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა გეორგიუ-დეჟმა.

— ჩვენ არ დავივიწყებთ, სთქვა დოქტორმა პეტრუ გროზამ, რომ ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის წმიდა პრინციპი. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი ხალხების ურთიერთპატივისცემა და განვამტკიცეთ ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა.

დღევანდელი პატრიოტული მიტინგი და ის ენთუზიაზმი, რომლითაც მთელ გზაზე გვხვდებიან, მოწმობს იმას, რომ ჩვენი ხალხი სავსებით იწონებს სსრ კავშირთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

გეორგიუ-დეჟმა თავის სიტყვაში სთქვა: „მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება სსრ კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ არავის არ ემუქრება და მისი მეოხებით ჩვენ შეგვიძლია იმედით შევყურებდეთ მომავალს. სახალხო დემოკრატიის ძალებს, მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ხალხებს შესაძლებლობა აქვთ არა მარტო თავიდან აიცილონ, არამედ კიდეცაც უკუაგდონ ყოველგვარი ცდა, რომელიც მშვიდობასა და უშიშროებას ემუქრება“.

ბუქარესტი, 11 თებერვალი. (საქდესი). სსრ კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს რუმინეთის ყველა კუთხიდან მოსდის ასობით დეპეშა, რომელთა ავტორებიც მიესალმებიან ხელშეკრულების დადებას და გამოსთქვამენ თავიანთ ღრმა კმაყოფილებასა და სიხარულს. „ბედნიერი ვართ, — სწერენ სოფელ კრივინას მცხოვრებნი, — რომ ჩვენი ქვეყანა გადაჭრით დაადგა მშვიდობისა და პროგრესის გზას ნამდვილ დემოკრატიულ ძალებთან ერთად, რომლებსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი“.

ნავთის ქარხანა „კოლუმბიის“ მუშები სწერენ: „ვალდებულებას ვკისრულობთ გადაჭრით ვებრძოლოთ ყველას, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს ჩვენს გულწრფელ მეგობრობას საბჭოთა კავშირთან“.

ქაღალდის ფაბრიკა „ბუშტენის“ მუშები თავიანთ დეპეშაში თხოულობენ მხურვალე სალამი და ღრმა მადლობა გადაეცეს საბჭოთა ხალხებს და გენერალისიმუს სტალინს რუმინეთთან ხელშეკრულების დადებისათვის.

სტრონიცტვო ლუდოვეს პარტიის კონფერენცია ლოძში

ვარშავა, 10 თებერვალი. (საქდესი). ლოძში დამთავრდა სტრონიცტვო ლუდოვეს პარტიის სავოევოდო კონფერენცია. კონფერენციაზე გამოსულმა პარტიის გენერალურმა მდივანმა ვიცე-პრემიერმა კოჟიცკიმ ანალიზი გაუკეთა პოლონეთის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას და აღნიშნა პოლონეთის დემოკრატიის დიდი მიღწევები განვლილი სამი წლის მანძილზე.

მაშინ როცა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომლები, სთქვა კოჟიცკიმ, გაჭირვებისა და ბარბაროსული ექსპლოატაციის მარწუხში იტანჯებიან, პოლონელი ხალხი წარმატებით სძლევს ომისშემდგომ სიძნელეებს, ჰქმნის თავის კეთილდღეობას და აშენებს თავის მომავალს. მთელი ომისწინა წლების განმავლობაში პოლონეთში ელექტროფიცირებული იყო ათასამდე სოფელი, ხოლო დემოკრატიული პოლონეთის სამი წლის განმავლობაში — ათას ხუთასზე მეტი. წელს განზრახულია დამატებით 200-ზე მეტი სოფლის ელექტროფიკაცია. 1938 წელს პოლონეთში მოპოვებული იყო 38 მილიონი ტონა ქვანახშირი, შარშან კი — თითქმის 60 მილიონი ტონა. მნიშვნელოვნად გადავაჭარბეთ ფოლადის გამოდნობის ომამდელ დონეს. ასეთივე მიღწევებია დემოკრატიული პოლონეთის ცხოვრების ბევრ სხვა დარგში: შენდება ათასობით ახალი სკოლა, ათასობით სახალხო სახლი, იხსნება ახალი სამკურნალო დაწესებულებები, მიმდინარეობს ქალაქების აღდგენა. ყოველივე ამასთან ერთად პოლონელ მუშებს არც უმუშევრობა ემუქრებათ და არც ინფლაცია, როგორც ეს, მაგალითად, საფრანგეთშია.

მაგრამ დემოკრატიული პოლონეთისადმი მტრულ ძალებს არ სძინავთ, განაგრძო კოჟიცკიმ. კაპიტალისტები იყენებენ თავიანთ ლაქიებს და ცდილობენ შიგნიდან ააფეთქონ ის ქვეყნები, რომლებმაც უარი განაცხადეს მორჩილად გაჰყვნენ მათ. ინგლისაქსი ბატონების ასეთი ლაქია პოლონეთში მიკოლაიჩიკი იყო. იგივე წრეები, რომლებიც ასე დაჟინებით უჭერდნენ მხარს მიკოლაიჩიკს, ახლა თავგამოდებით მუშაობენ, რათა აღადგინონ პოლონელი ხალხის ყველაზე დიდი მტრის — იმპერიალისტური გერმანიის ძლიერება. პოლონელმა ხალხმა ზიზღით შეაქცია ზურგი მიკოლაიჩიკს. ბევრ გლეხს არ ესმოდა, რომ მიკოლაიჩიკი იყო მხოლოდ საერთაშორისო კაპიტალის ლაქია, მისი აგენტი პოლონეთში. ამჟამად პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვე, ამბობს კოჟიცკი, გაჯანსაღების გზაზე დგას. საგრძნობია მისწრაფება პოლონეთში გლეხთა გაერთიანებისაკენ. ისევე, როგორც მუშათა მოძრაობაში მიღწეულ იქნა ერთიანი ფრონტი, გლეხთა მოძრაობაში დადგება პერიოდი, როცა ორივე გლეხური პარტია ერთ მძლავრ გლეხურ პარტიად გაერთიანდება. ახლა ჯერ კიდევ ძნელია ლაპარაკი გაერთიანების ვადებზე, ვინაიდან ეს უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია თვით პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეზე, იმაზე, თუ რამდენად მალე და წარმატებით გასწმენდს ეს პარტია თავის რიგებს მიკოლაიჩიკის მიმდევართაგან.

ჩვენი პარტიის ძლიერება, ამბობს შემდეგ კოჟიცკი, მუშათა კლასთან თანამშრომლობაშია. ეს არის ნაცადი გზა, რომელიც უზრუნველჰყოფს პოლონელი ხალხის ძლიერებასა და მომავალს. ამ გზით თუ ვივლით, შეცდომებს არ დავუშვებთ. ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით იმ პოლონეთის რესტავრაციაზე, როგორიც იგი 1939 წლამდე იყო. ახალი პოლონეთი მდიდარი, განათლებული ქვეყანა, მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის ფართო მასების ნამდვილი სამშობლო უნდა გახდეს.

კოჟიცკიმ პასუხი გასცა შეკითხვაზე გლეხობის მოკავშირეთა და მის მტერთა შესახებ და აღნიშნა, რომ გლეხობას შეუძლია თავისი მოკავშირეები ეძებოს მხოლოდ „მარცხნით“, მტრები კი — მხოლოდ „მარჯვნით“. ჩვენ ისიც ვიცით, ამბობს ორატორი, თუ ჯერ კიდევ რა დიდი გავლენა აქვს პოლონეთში კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ საეკლესიო საქმეებს მიხედოს, მიდრეკილებას იჩენს მავნე პოლიტიკურ თამაშს შეუდგეს.

ეხება რა პოლონეთის საგარეო პოლიტიკას, კოჟიცკი აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკის ძირითადი გეზია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლა. კოჟიცკიმ დაჰგმო ამერიკელ იმპერიალისტთა პოლიტიკა ჩინეთში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში, რაც მიმართულია ხალხთა დამონებისაკენ, აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის რეაქციული წრეების ქედის მოხრა ამ პოლიტიკის წინაშე და დაუპირდაპირა მას სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა. გასულმა წელმა, აღნიშნავს კოჟიცკი, მოგვიტანა საბჭოთა კავშირთან, იუგოსლავიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები ყველაზე მეტად დაზარალდნენ ომით, მათი აღდგენა გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნებისა. გამანადგურებელი ომის შემდეგ სსრ კავშირმა შესძლო აამაღლებინა თავისი სამრეწველო დონე და ფაქტიურად აღმოფხვრა ომის საშინელი შედეგები, რისი მაჩვენებელიც არის ვალუტის განმტკიცება და საბარათო სისტემის გაუქმება. კოჟიცკი აღნიშნავს, რომ პოლონეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსკოვში ხელმოწერილ ხელშეკრულებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ პოლონეთის სწრაფი ეკონომიური აყვავების საქმეს.

„ბიზონიაში დაიწყო მორალური ტერორის ახალი ერა“

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის მთავრობიდან კომუნისტების გარიცხვის გამო

ბერლინი, 10 თებერვალი. (საქდესი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ეხება ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის მთავრობის შემადგენლობიდან კომუნისტი მინისტრების გარიცხვას და იუწყება, რომ ეს ნაბიჯი პრემიერ-მინისტრმა კარლ არნოლდმა ისე გადადგა, რომ მთავრობასთან ან ლანდტაგთან არავითარი წინასწარი კონსულტაცია არ ჰქონია. დეპუტატებმა მინისტრების გადაყენება პოსტ-ფაქტუმ შეიტყვეს, მაგრამ არცერთ მათგანს უკმაყოფილება არ გამოუთქვამს არნოლდის თვითნებური გადაწყვეტილების გამო. სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა აგრძნობინეს, რომ ეს ნაბიჯი მათთვის სავსებით მისაღებია. უფრო მეტიც, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ მინისტრებმა პილზფელმა და ნელტინგმა იკისრეს ამ სამინისტროების ხელმძღვანელობა, ვინაიდან მათი უარის შემთხვევაში არნოლდი იძულებული გახდებოდა უკანვე წაეღო გადაწყვეტილება კომუნისტი მინისტრების გადაყენების შესახებ. ადენაუერმა და „თავისუფალი დემოკრატიული პარტიის“ ფრაქციამ აგრეთვე მოიწონეს არნოლდის პოლიტიკა.

„ნოიეს დოიჩლანდის“ აზრით, სოციალ-დემოკრატ ობერბურგომისტრ ბრაუერის მიერ ჰამბურგში სახალხო კონგრესის აკრძალვის შემდეგ პრემიერ-მინისტრ არნოლდის დიქტატორული ნაბიჯი დემოკრატიული უფლებების მიმართ ძალადობის მეორე აქტს წარმოადგენს. ამრიგად, ბიზონიაში დაიწყო მორალური ტერორის ახალი ერა. „ის ადამიანები, რომლებმაც ფრანკფურტში „ჰო“ სთქვეს, თავისუფალი გერმანელი ადამიანები აღარ არიან, ისინი „ზემოდან დავალებით“ მოქმედებენ. ამ დავალებათა ავტორებმა იპოვეს გერმანელი შემსრულებლები, რათა ჩაახშონ გერმანიის დემოკრატიული თავისუფლება“.

გაზეთმა „ტელეგრაფმა“, რომელზეც არ შეიძლება ეჭვი მივიტანოთ, რომ მას კომუნისტები უყვარდეს, დაჰგმო არნოლდი. გაზეთის აზრით, ამ ნაბიჯს არ შეიძლება გონივრული ეწოდოს. „ეს იმ განვითარების დასაწყისია და არა ბოლო, რომელიც შეიძლება მეხის შორეულ ქუხილს შევადაროთ. ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენ ხანს დარჩება არნოლდი თავის პოსტზე ამ აქტის შემდეგ“.

იაპონიის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 10 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ გენერალმა მაკარტურმა თანხმობა განაცხადა იაპონიის კაბინეტის გადადგომაზე. დღეს ტოკიოში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კაბინეტი, რომელსაც სათავეში ედგა მემარჯვენე სოციალისტი კატაიამა, მთელი შემადგენლობით გადადგა.

ახალი ნაბიჯი გერმანიის გათიშვისაკენ

გენერალ კლეის № 7 პროკლამაცია ბიზონიის მმართველობის ცვლილების შესახებ

ბერლინი, 9 თებერვალი. (საქდესი). ამერიკული საოკუპაციო ზონის მთავარსარდალმა გენერალმა კლეიმ ამერიკული ზონის, მათ შორის ბრემენის მხარის მოსახლეობას მიმართა პროკლამაციით ბიზონიის მმართველობის ცვლილების შესახებ. ეს პროკლამაცია ამერიკელმა და ინგლისელმა ხელისუფლებმა ფრანკფურტის თათბირის შემდეგ შეიმუშავეს და გერმანიის ოკუპაციის გაერთიანებული ზონის პრემიერ-მინისტრებს წარუდგინეს. მაინის ფრანკფურტში 27 და 28 იანვარს შემდგარ სხდომაზე ასეთი პროკლამაციის პროექტის საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოითქვა. მაგრამ ინგლისელმა და ამერიკელმა ხელისუფლებმა 1948 წლის 6 თებერვალს გამოაცხადეს პროკლამაცია გაერთიანებული ზონის მმართველობის ცვლილების შესახებ.

პროკლამაციის თანახმად გაერთიანებული სამეურნეო ოლქის (ზონის) მმართველობაში შევა ეკონომიური საბჭო, მხარეთა საბჭო, ადმინისტრაციული საბჭო და ზოგიერთი სხვა ადმინისტრაციული ორგანო.

7 თებერვალს პრესაში გამოქვეყნებულმა „ფრანკფურტის პროკლამაციამ“ მთელი გერმანული დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან იგი აშკარად მიმართულია დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შექმნისა და ამით გერმანიის გათიშვისაკენ.

ადნის სააგენტოს ცნობით, დასავლეთ ზონების კომპარტიის ხელმძღვანელობამ პროკლამაციის გამოქვეყნების შემდეგ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „არადემოკრატიული პარლამენტი“ — ეკონომიური საბჭო და არაპოლიტიკურ ორგანიზაციად შენიღბული ადმინისტრაციული საბჭო სინამდვილეში დასავლეთის სეპარატისტული მთავრობის საძირკველს წარმოადგენენ.

პრემიერ-მინისტრებმა და პარტიულმა ხელმძღვანელებმა, რომლებიც სამხედრო ადმინისტრაციათა პასუხისმგებლობას ამოეფარნენ... შეგნებულად შესწირეს გერმანიის ერთიანობა „მარშალის გეგმის“ განხორციელებას. ისინი შეგნებულად სახავენ, გეგმას გადააქციონ დასავლეთი გერმანია ამერიკის მსხვილი საფინანსო კაპიტალის პროტექტორატად განზრახული დასავლეთი ბლოკის ფარგლებში.

განცხადებაში შემდეგ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ გერმანელმა პოლიტიკოსებმა ფეხქვეშ გასთელეს გერმანელი ხალხის პოლიტიკური უფლებები. „თუ დღეს ცდილობენ მთელი პასუხისმგებლობა სამხედრო ადმინისტრაციებს მიაწერონ, ისინი ვერ შესძლებენ თავი იმართლონ ისტორიის წინაშე“, — ნათქვამია განცხადებაში. განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ეგრეთ წოდებული „ფრანკფურტის პროკლამაციის“ გამოცხადების შემდეგ სამეურნეო მდგომარეობა ისევე ნაკლებად გაუმჯობესდება, როგორც შარშან ინგლისური და ამერიკული ზონების გაერთიანების შემდეგ. პირიქით, სამეურნეო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

„გერმანიის კომუნისტური პარტია, — ნათქვამია განცხადებაში, — არასოდეს არ სცნობს დასავლეთ გერმანიის სეპარატულ მთავრობას ფრანკფურტში. ახლა შექმნილ სიტუაციის კომპარტიასთან ერთად არასოდეს არ შეურიგდება აგრეთვე მთელი გერმანელი ხალხი. მიუხედავად ზონალური საზღვრებისა, სახალხო მოძრაობა გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის კვლავ განვითარდება. გერმანელი ხალხი დღის წესრიგიდან არ ხსნის მოთხოვნას გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ“.

დასასრულ გერმანიის კომუნისტური პარტია წინადადებას აყენებს „დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას საერთო გერმანული საკონსულტაციო საბჭო, რომლის ამოცანაც იქნება შექმნას მოკავშირეების მიერ დაპირებული გერმანიის ცენტრალური მმართველობა, შეიმუშაოს დებულებანი ეროვნული კრების არჩევნების რაც შეიძლება მალე ჩასატარებლად, აგრეთვე სახალხო რეფერენდუმის მოსაწყობად, რომელიც დაადასტურებს გერმანელი ხალხის ნებას გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის“.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ სწერს, რომ ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელი პოლიტიკოსები ბიზონიისათვის შექმნილ კონსტიტუციას გერმანიის გათიშვისაკენ მისწრაფების დადასტურებად სთვლიან. გაზეთის სიტყვით, როგორც ოტო გროტევოლმა განაცხადა, პროკლამაცია ცხადჰყოფს, რომ აქ საქმე ეხება დასავლეთ გერმანიაში სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნას. მან მწუხარება გამოსთქვა, რომ დასავლეთ გერმანიის პარტიები, გარდა გერმანიის კომუნისტური პარტიისა, ითმენენ ამ ამბებს, ან კი ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ ამას და მოითხოვონ პრობლემის გერმანიის საერთო მასშტაბით გადაჭრა.

გაზეთს შემდეგ მოჰყავს ადნის სააგენტოს ცნობა გამოქვეყნებული პროკლამაციის თაობაზე დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის მიერ გამოთქმული აზრების შესახებ. მაგალითად, როგორც ბავარიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ იოზეფ მიულერმა პრესის ერთ წარმომადგენელს განუცხადა, გაფიცვების ტალღამ, რომელიც გაერთიანებული ზონის ყველა ოლქს მოედო, დაამტკიცა, რომ „ბიზონია უბედურთა კუნძულს წარმოადგენს“. მიულერმა იწინასწარმეტყველა, რომ ახალი ორზონალური მმართველობა დიდხანს ვერ იარსებებს.

ბავარიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ფრანკფურტის პროკლამაცია“ უეჭველად ატარებს სახელმწიფოს შექმნის ხასიათს. „ჩვენ ისეთ გზას დავადექით, — სთქვა მან, — რომელიც გერმანიის პრობლემის საბედნიერო გადაჭრას არ წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა გერმანიის მხრივ რაც შეიძლება მალე დაძლეულ იქნას „დროებითი მდგომარეობა“.

გაზეთ „დერ მორგენში“ დაბეჭდილია ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ვილჰელმ კიულცის ვრცელი სტატია, რომელშიც იგი აცხადებს, რომ „პროკლამაცია უეჭველად წარმოადგენს ძირითად სახელმწიფოებრივ კანონს და სწორედ ამერიკული ნიმუშის მიხედვით. არ შეიძლება სერიოზულად მოვეკიდოთ მტკიცებას, რომ აქ ლაპარაკია დროებით მოწესრიგებაზე. არცერთი გონიერი ადამიანი არ შეჰქმნის დროებითი ორგანოს სახით უმაღლეს სასამართლოს და ცენტრალურ საემისიო ბანკს“.

„ისტორიის ფალსიფიკატორები“

ინგლისის ოფიციალური წრეების შეშფოთება

ლონდონი, 11 თებერვალი. (საქდესი). საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ გამოქვეყნებულმა ისტორიულმა ცნობამ — „ისტორიის ფალსიფიკატორები“ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში აშკარა შეშფოთება გამოიწვია. კერძოდ, ამ წრეების ყურადღება მიიპყრო ცნობაში მოყვანილმა შენიშვნამ, რომ გამოქვეყნებული იქნება საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არსებული საიდუმლო დოკუმენტები ჰიტლერულ გერმანიასა და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის ურთიერთობის შესახებ, რომლებიც ამ მთავრობებმა საზოგადოებრივ აზრს დაუმალეს.

აღსანიშნავია ის, რომ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი შეეცადა [illegible] ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოქმედებას, რომელმაც 21 იანვარს გამოაქვეყნა კრებული „ნაცისტებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა 1939-1941 წლებში“. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, დაეთანხმა თუ არა ინგლისის მთავრობა ასეთი კრებულის გამოქვეყნებას, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ჯერ შეეცადა უარეყო, რომ მიცემული იყო ასეთი თანხმობა. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ინგლისის მთავრობას გამოქვეყნებამდე მხოლოდ ცოტახნით ადრე აცნობა, რომ განზრახვა აქვს გამოაქვეყნოს აღნიშნული კრებული. მაშინ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს გაახსენეს, რომ რამდენიმე ხნის წინათ საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კითხვაზე პასუხის მიცემისას დაადასტურა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა დოკუმენტები გამოაქვეყნა ინგლისისა და საფრანგეთის თანხმობით, აგრეთვე უჩვენეს პარლამენტის ანგარიში, რომელშიც ჩაწერილია ბევინის მიერ ჩერჩილისათვის 4 თებერვალს პარლამენტში გაცემული პასუხი, როცა ბევინმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გერმანული დოკუმენტები ინგლისელთა თანხმობით გამოაქვეყნა. ამის შემდეგ ფაქტების დამახინჯებაში მხილებული საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იძულებული გახდა ბოდიში მოეხადა თავისი ყალბი განცხადების გამო.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აგრეთვე სცადა უარეყო, რომ ინგლისის მთავრობამ უარჰყო საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ ხელში ჩაგდებული გერმანული მასალების ერთობლივ დამუშავებაში საბჭოთა ექსპერტების მონაწილეობის შესახებ.

ნამდვილად კი ჯერ კიდევ 1945 წლის 19 ივნისს საბჭოთა ელჩმა ლონდონში ფ. ტ. გუსევმა საბჭოთა მთავრობის დავალებით ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადებით მიმართა, რომ ზემოაღნიშნული გერმანული საარქივო მასალების ერთობლივ დამუშავებასა და შესწავლაში მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა ექსპერტებს. მაგრამ 10 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა კადოგანმა ფ. ტ. გუსევს აცნობა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს დროულად არ მიაჩნია ინიციატივა გამოიჩინოს ამ საკითხში და საადრევად სთვლის საბჭოთა ექსპერტების გაგზავნას ლონდონში. ამრიგად, მტკიცება ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლისა, რომელიც უარჰყოფდა, რომ საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა თავისი ექსპერტების მონაწილეობა ხელში ჩაგდებული გერმანული დოკუმენტების შესწავლაში, სინამდვილეს არ შეეფერება.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

13 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. კალაძის კონსულტაცია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების საკითხებზე.

13 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. ტატიშვილის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

14 თებერვალს, დილის 9 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: „ამხანაგ სტალინის თხზულებათა მეოთხე ტომი“.

ლექტორი დოცენტი ლ. გორგილაძე.

სემინარი

13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი თემაზე: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 27 წლისთავი და საბჭოთა არმიის 30 წლისთავი“.

ლექტორები ამხ. კალაძე და ამხ. იაროვა.

თეატრებში

13 თებერვალს: ოპერისა და ბალეტის — „პატარა კახი“; რუსთაველის სახელობის — „ერთი ღამის შეცდომები“; მარჯანიშვილის სახელობის — „1917 წელი“; გრიბოედოვის სახელობის — „რუსეთის საკითხი“; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „ბაში-აჩუკი“, რუსული — „წითელი ყელსახვევი“.

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

13 თებერვალს

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

17.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: შნაიდერის „დაუმთავრებელი მოთხრობა“ (გადმოკეთებული რუსულიდან). 18.20 — კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ე. გასტენინას შესრულებით. 19.15 — რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტი № 3. 20.30 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 20.45 — საუბარი ქართულ ენაზე. 21.05 — კონცერტი პიანისტ ოთაროვას შესრულებით. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე. ნაწყვეტი ბელიაშვილის რომანიდან „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. 23.00 — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი.

სოხუმი. ქალაქის პარკი. ფოტო ვ. გინზბურგისა

დისერტაციის დაცვა

[illegible] დისერტაციო შრომაში ორიგინალურად აშუქებს ჭიათურის მარგანეცის მადნის კლასიფიკაციის, მარგანეცის მადნის გეოქიმიის, მარგანეცის მადნიდან ნიკელ-კობალტის ამოკრეფისა და სხვა საკითხებს.

[illegible] გავაშელს ერთხმად მიანიჭა გეოლოგიისა და მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ამხ. ა. გავაშელი ოცი მეცნიერული ნაშრომის ავტორია.

ჟურნალი „დილა“ № 1

გამოვიდა საბავშვო ჟურნალი „დილა“ № 1. ჟურნალი იხსნება სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული ი. ბ. სტალინის პორტრეტით. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: რ. მარგიანის — მოგილოცავთ (ლექსი), საბჭოთა უკრაინა (წერილი), ი. გრიშაშვილის — ჩვენი სკოლა (ლექსი), ი. ნონეშვილის — ლენინი ბავშვობაში (ლექსი), გრ. გლურჯიძის — ახალი წლის დილით (მოთხრობა), მ. მრევლიშვილის — ძამიკო, გამოდი მალე (ლექსი), ბ. ჩხეიძის — ძია სანდრო (მოთხრობა), ა. შენგელიას — ახალი წელი დაგვიდგა (ლექსი), ნ. ნაკაშიძის — დათიკოსი და ნანას საახალწლო საჩუქრები (მოთხრობა), გრ. აბაშიძის — ზამთარი (ლექსი), მარიჯანის — მამიდა თეოს მარანი (ზღაპარი), გ. შატბერაშვილის — ასე ტკბილად დამიბერდი (მოთხრობა), ვ. ჭელიძის — რა დააშავა პატარა ჯეკმა (მოთხრობა), არჩილის ბელურა (მოთხრობა), ვ. ძნელაძის — კარმიდამო დათოვლილა (ლექსი) და მ. ლებანიძის — ნაძვის ხის ნათქვამი (ლექსი).

ჟურნალში დაბეჭდილი ფერადი ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვრებს უ. ჯაფარიძეს, ს. გაბაშვილს, რ. სტურუას, გ. ჩირინაშვილს, ა. კანდელაკს, გ. გულისაშვილს და შ. ცხადაძეს.

ხელოვნების ქრონიკა

„სადგურის უფროსი“

ლაგოდეხის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ილო მოსაშვილის პიესა „სადგურის უფროსი“.

როლები შეასრულეს ვ. თინდაშვილმა, სპ. თეთრაშვილმა, ალ. ხიდეშელმა, გ. ჯალიაშვილმა, გ. პატარიძემ, ა. ქუთათელაძემ, ნ. ნიჩონმა, ფ. ბლიაძემ, ა. ბარძიმაშვილმა, ვ. ნანობაშვილმა და სხვ.

სპექტაკლი დასდგა რეჟისორმა გ. როსებამ. მხატვრობა ეკუთვნის ლ. იგიტხანოვს.

„რკინის პერანგი“

ზორჯომის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებლებს მორიგ პრემიერად უჩვენა გ. შატბერაშვილის პიესა „რკინის პერანგი“.

პიესა აგებულია კავკასიის გმირული დაცვის თემაზე.

სპექტაკლი დასდგა ახალგაზრდა რეჟისორმა გ. ხმალაძემ.

როლები შეასრულეს მსახიობებმა გ. ხმალაძემ, ბ. ხუციშვილმა, ო. ხუციშვილმა, ზ. სხირტლაძემ, ა. აბვლედიანმა, ვ. ტყეშელაშვილმა, ქ. მელიქიშვილმა, გ. იოსებაშვილმა ნ. კავსაძემ და სხვ.

ვ. ზურზენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რესპუბლიკის სახალხო არტისტ დ. გამრეკელის გასტროლები თბილისში

19 თებერვლიდან ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში ჩატარდება სპექტაკლები რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. გამრეკელის მონაწილეობით.

დ. გამრეკელი მიიღებს მონაწილეობას ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში“, ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში“ და ვერდის ოპერა „რიგოლეტოში“.

პროფესორ ი. ე. გაჩეჩილაძის ხსოვნის საღამო

14 თებერვალს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკისა და სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის კათედრები იწვევენ გაერთიანებულ საჯარო სხდომას, მიძღვნილს ინსტიტუტის ფიზიკისა და მეტეოროლოგიის კათედრის დამაარსებლის და პირველი გამგის პროფესორ ი. ე. გაჩეჩილაძის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი.

დასაწყისი დღის 3 საათზე.

ესტრადის მსახიობების შეხვედრა მწერლებთან

დღეს, 13 თებერვალს, მწერალთა კლუბში ეწყობა ქართველი მწერლების შეხვედრა ქართული ესტრადის მსახიობებთან.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ჭადრაკი

შეჯიბრება თბილისის პირველობაზე

მეცამეტე ტურში დამარცხება განიცადა ტურნირის ლიდერმა შიშოვმა. იგი ქარსელაძესთან შექმნილ რთულ მდგომარეობაში ვერ გაერკვა და მოულოდნელი შამათის მუქარის ქვეშ თავი დამარცხებულად სცნო. გერშოვიჩმა გამსვლელი პაიკი მიიღო ბლაგიძესთან და აიძულა იგი დაეთმო პარტია. გიორგაძემ მოუგო ასოვსკის, ბუსლაევმა — ჯაკობიას, არუთინოვ-ცინცაძისა და ლონდაძე-ფალავანდიშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

13 ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: შიშოვი 11, სოროკინი 10 (1 გადადებული ნეკრასოვთან), ვეიზერი 9.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე ანუშევან ტომასის-ძე აკოფოვმა, მცხოვრებმა პრესის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ჟენია ტიგრანის ასულ ბაგდასარიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ირაკლი აბზიანიძე, შვილები შოთერ, ქეთო, სიძე ოთარ ოჯახით იუწყებიან ექიმ ეკატერინე (პაშა) ილიოს ასულ თოფურიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-II, 7 ს. გამოსვენება 15-II, 2 ს. პლეხანოვის, 122.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის საქონელთმცოდნეობის ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან ნინო ზაქარიას ასულ გაგნიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-II, 6 ს. გამოსვენება 15-II, 3 ს. ნიაბის, 17.

მეუღლე ოლა, შვილი ალექსანდრე მჭედლიშვილები ოჯახით იუწყებიან პავლე იქროპირის-ძე მჭედლიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-II, 7 ს. გამოსვენება 15-II, 5 ს. ქობულეთის, 21.

მარიამ მელაძე, სონია და ფაჩუ იოსელიანები ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული ექიმის გიორგი ივანეს-ძე ჯორჯიკიას გარდაცვალებას.

„საქნავთის“ ტრესტის სუფსის ნავთსაძიებო უბნის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები იუწყებიან ბარნაბ სპირიდონის-ძე გოგუას გარდაცვალებას.

კ. ჰეჟინაძე და ს. ჭელიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ვასილ გოგუას მისი მამის ბარნაბ სპირიდონის-ძე გოგუას გარდაცვალების გამო.

შვილები ნანი და გიორგი ჯორჯიკიები, სიძე დავით დავითაია იუწყებიან დამსახურებული ექიმის გიორგი ივანეს-ძე ჯორჯიკიას გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაში.

პრისკილა, ვალია, ვერა, თამარ, შუშანა, შალვა, თენგიზ სუპატაშვილები ოჯახებით იუწყებიან სიძის ალექსანდრე (საშა) ილარიონის-ძე ნინუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-II, 7 ს. გამოსვენება 15-II, 1 ს. კვალის, 9.

აბაშის რაიონის სამედიცინო კოლექტივი იუწყება დამსახურებული ექიმის გიორგი ივანეს-ძე ჯორჯიკიას გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაში.

შვილები ეკატერინე, ლილი მარშანიები, სიძე გალაქტიონ ჭანტურია იუწყებიან, რომ 14-II სოფ. სუჯუნაში დანიშნულია ჩუტუ კოტატის ასულ მარშანიას პანაშვიდი.

შვილები ონიფანტე და თომა კვანტალიანები ოჯახებით იუწყებიან მარიამ კვანტალიანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II ქ. ფოთში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-78-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00840